მუნიციპალიტეტის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №3(65) 2014 წ. 1-15 თებერვალი ფასი 50 თეთრი



ინფრასტრუქტურა
ახალი პროექტები იწყება

მე-3 გვერდი

ძუძულის მწვრთნელი და მსაჯი

მე-8 გვერდი

კრივი

მე-7 გვერდი

კლუბი „იაბუარი“

მე-6 გვერდი

დიდთოვლობა საბარეჯოში

თებერვლის პირველი დეკადა საბარეჯოში დიდთოვლობით და მაღალი ყინვებით დაიწყო. 3-4 თებერვალს ტემპერატურა -20 გრადუსამდე დაეცა...

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 2014 წ

სხდომას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე*** **ᲘᲚᲘᲐ ᲭᲘᲐᲣᲠᲔᲚᲘ** უძღვებოდა. მან სხდომის მონაწილეთ დღის წესრიგი გააცნო და პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ გააკეთა მოხსენება. როგორც თანამომხსენებელმა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსმა*** **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐ** აღნიშნა:

– საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე–20–ე მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე შესული ცვლილებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 9044.3 ათასი ლარით. ამასთან, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №35 განკარგულებით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები 199.6 ათასი ლარით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯები ასევე, გაიზარდა 199,6 ათ. ლარით. აქედან:

– საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯი გაიზარდა 31,4 ათ. ლარით. მათ შორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფისის ხარჯი 0,5 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის გამგეობის 30,9 ათასი ლარით. მათ შორის საოფისე ავეჯის შესაძენად (ეკონომიკის სამსახურისათვის) 0,9 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 30,0 ათასი ლარით.

– ინფრასტუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები გაიზარდა 70.9 ათასი ლარით. მათ შორის გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია – 13.7 ათასი ლარით, სპორტული დარბაზებისათვის გამოიყო – 25,0 ათასი ლარი, ხევების გაწმენდა-გამაგრების სამუშაოებისათვის – 10,0 ათასი ლარი, აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ დაფინანსება გაიზარდა 22,2 ათასი ლარით (წყლის მარეგულირებლებისათვის ხელფასების მოსაწესრიგებლად).

– საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გამოყოფილი 60,0 ათასი ლარით (ქ.საგარეჯოს გაღმა უბნის ბაღის, კაკაბეთის, მანავის №1 და საგარეჯოს №2 საბავშვო ბაღების) და სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით დაიგეგმა 2014 წლის „ეტალონში“ გამარჯვებული საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის მოსწავლის ილია კურდღელაშვილისათვის სტიპენდიის სახით 1,1 ათასი ლარი.

– სპორტდონისძიებების ხარჯი გაიზარდა 2,0 ათ. ლარით და გაიზარდა აიპ. სპორტული გაერთიანების ხარჯები 30,3 ათასი ლარით – მწვრთნელთა ხელფასების მოსაწესრიგებლად და მოჭიდავეთა შეკრებებისათვის.

– ახალგაზრდული დონისძიების და კულტურის სხვა დონისძიებებისათვის გამოყოფილი ხარჯები შემცირდა ხატვისა და გიტარის შემსწავლელი წრეებისათვის გამოყოფილი თანხებით და გაიზარდა აიპ. კულტურის ობიექტების დაფინანსება 15,3 ათ. ლარით. წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ საკუთარი მოსაზრება გამოთქვა თანამომხსენებელმა ***საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ*** **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲥᲣᲠᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ.**

საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების 2014 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დეპუტატებს მოხსენება საკრებულოს თავმჯდომარემ ილია ჭიაურელმა წარმოუდგინა. მომხსენებელმა კიდევ ერთხელ შეახსენა საკრებულოს დეპუტატებს, რომ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მმართველობა აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნევს მუნიციპალური სოციალური პროგრამის განხორციელებას,*** რომლის ფარგლებშიც სოციალურად დაუცველი ჯგუფები ფულად და სხვა სახის დახმარებას მიიღებენ. როგორც მან აღნიშნა, პროგრამის განხორციელების მიზანია საერთო სოციალური ფონის უკეთესობისკენ შეცვლა და უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის დახმარება. პროგრამის განხორციელების ვადაა 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. პროგრამის ბიუჯეტი 448838 ლარს შეადგენს. სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფებში კი შედიან: ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 57000-დან 100000 ქულამდე, ამასთან, ეს ქულები მინიჭებული უნდა იყოს 2013-2014 წლებში, ასევე ოჯახები, რომლებსაც სოციალური სააგენტოს მიერ ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო შეუჩერდათ საარსებო შემწეობა (აქ იგულისხმება შეწყვეტის მიზეზის საბუთის წარმოდგენის შემთხვევა). ეკონომიურად და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების , მედიკამენტების დაფინანსება; მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვები; უდედმამო ბავშვები; უპატრონო მიცვალებულები, რომელთაც არ ჰყავთ არც ერთი რიგის მემკვიდრე და იძულებით გადაადგილებული გარდაცვლილი პირები; დიდი სამამულო ომის ვეტერანები; მარტოხელა დედები, რომლებსაც არა აქვთ არანაირი შემოსავალი, გარდა სოციალური შემწეობისა; აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“ უფასო სასადილოების დაფინანსება და 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულები.

რაც შეეხება სოციალური დახმარების ოდენობას, მომხსენებელმა კიდევ ერთხელ შეახსენა დეპუტატებს, რომ: ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახებისათვის წელიწადში ერთჯერადად გაიცემა 100 ლარი; ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებულ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების, მედიკამენტების დაფინანსება ღირებულების 50% იქნება, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა. სამკურნალო თანხები, რომლის 70%-ს ანაზღაურებს საყოველთაო დაზღვევა, ასაკობრივი ან რომელიმე სხვა დაზღვევა, შესაძლებელია დაფინანსდეს დაუფინანსებელი თანხის 50%, რომელიც აღემატება 1000 ლარს. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს (18 წლამდე ასაკის) – 150 ლარი, უდემამო ბავშვებს (18 წლამდე ასაკის) – 50 ლარი ყოველთვიურად; უპატრონო მიცვალებულებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯი – 300 ლარი; დიდი სამამულო ომის ვეტერანთათვის 9 მაისის დღესასწაულისათვის – 100 ლარი, სარიტუალო ხარჯისათვის – 250 ლარი; მარტოხელა დედები წელიწადში ერთჯერადად 200 ლარის დახმარებას მიიღებენ, უფასო კვების ობიექტები – 180 ათას ლარს. რაიონში მცხოვრები ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთათვის წელიწადში ერთჯერადად 150 ლარის დახმარებაა.

მომხსენებელმა აქვე განმარტა, რომ ***სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია,*** რომლის გადაწყვეტილება მტკიცდება მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით. ასევე, მისივე ბრძანების საფუძველზე გამოიყოფა ერთჯერადად გასაცემი დახმარების თანხა ამ პროგრამის შესაბამისადვე. ***სოციალური დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენისას მოქალაქეს დახმარებას უწევს გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახური, ხოლო წარმოდგენილი საბუთების სისწორეს აკონტროლებს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი.***

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ შექმნილი არასამეწარმეო იურიდიული პირისა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს თავმჯდომარემ*** **ᲘᲚᲘᲐ ᲭᲘᲐᲣᲠᲔᲚᲛᲐ**. მან სხდომის მონაწილეთ გააცნო ყველა ის წესი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციას და ამორტიზირებელი ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერას არეგულირებს.

სხდომის მონაწილეებმა ასევე მოისმინეს აიპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის 25 ოქტომბრის №32 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2014 წლის დელეგირებული საქმიანობის განსახორციელებელ პროგრამაში შრომითი რესურსების და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების, აიპ „კულტურის ობიექტების გაერთიანებაში“ შემავალი დაწესებულებების საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №8 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის, აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 მარტის №37 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის, აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, მოხსენებები.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არასამეწარმეო იურიდიული პირების დირექტორებმა ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რაც თითოეულ არასამეწარმეო იურიდიული პირის მუშაობაში არსებობს და რაც უახლოეს მომავალში უნდა გადაიჭრას. სხდომაზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ილია ჭიაურელმა. დეპუტატები დიდი მოწონებით შეხვდნენ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონში“ გამარჯვებულ საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის მეათექვსმეტე ილია კურდღელაშვილს ყოველთვიური სტიპენდია დაენიშნა.

საკრებულოს დეპუტატებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხებზე და მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

სხდომას ესწრებოდნენ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი*** **ᲑᲔᲡᲘᲙ ᲛᲐᲠᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** და ***გამგებლის მოადგილე*** **ᲪᲘᲡᲛᲐᲠ ᲗᲘᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

4 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 2014 წᲔᲚᲘ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი*** **ᲑᲔᲡᲘᲙ ᲛᲐᲠᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** უძღვებოდა. თათბირზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებმა ის პრობლემები წარმოაჩინეს, რომელთა გადაჭრაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ჩარევას მოითხოვს. როგორც მათ აღნიშნეს, დიდთოვლობამ ზოგიერთ ადგილებში სასმელი წყლის ჭაბურღილები დააზიანა, ასევე, დაზიანდა სასმელი წყლის მილებიც. თათბირზე დაისახა ამ პრობლემების გადაჭრის გზებიც.

ამავე თათბირზე საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამშრომლებმა: გივი ჭონიაშვილმა, ლორენცო ლემონჯავამ, ნუგზარ გიგიაშვილმა, დავით ხოხობაშვილმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს ჩაუტარეს ტრენინგი სასოფლო-სამეურნეო ბარათების ბენეფიციარებზე გაცემის წესის შესახებ. მათ, ასევე, რწმუნებულებს გადასცეს სასოფლო-სამეურნეო ბარათები.

11 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 2014 წᲔᲚᲘ

თათბირს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი*** **ᲑᲔᲡᲘᲙ ᲛᲐᲠᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** უძღვებოდა. მან მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში არსებული მდგომარეობა გამოიკითხა და როგორც აღმოჩნდა, უდაბნოს მოსახლეობას სასმელი წყალი პრობლემებით მიეწოდება – ძლიერი ყინვების გამო დაზიანდა სასმელი წყლის ძრავი. ასევე, წყლის დებეტის ნაკლებობაა ხაშმში.

დიდი ჩაილურის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის არჩილ დიდებულიძის ინფორმაციით დიდ ჩაილურში დაიწყო სოფლის გაზიფიცირების სამუშაოები.

თათბირზე მიმოიხილეს სხვადასხვა საკითხები და დაისახა აქ წარმოდგენილი პრობლემების მოგვარების გზები.

ინფრასტრუქტურა

პროგრამა, რომელიც სოფლის მხარდაჭერას რეალურად ანხორციელებს

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად გასულ, 2013 წელს, რომელთა შესახებ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის ფურცლებიდან გვესაუბრება ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი*** **იოსებ თედიაშვილი:**

– გასული, 2013 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამაში გათვალისწინებული იყო და განხორციელდა თითქმის ყველა ის ძირითადი პროექტი და პრიორიტეტი, რაც მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობამ შეარჩია და დააყენა ჩვენს წინაშე. კონკრეტულად, ეს შეეხებოდა შიდა სასოფლო გზების, სასმელი წყლის სისტემების, საყოფაცხოვრებო და სარიტუალო ობიექტების, სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწესრიგების სამუშაოებს, რომელთა შესასრულებლადაც მთლიანობაში გამოყოფილი იყო 996957 ლარი.

– ამ თანხით სულ რამდენი პროექტი დაფინანსდა და განხორციელდა მუნიციპალიტეტში და მათგან, რომელი საკითხები იყო მიჩნეული პრიორიტეტულად?

– „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში გასულ წელს რაიონში მთლიანობაში განხორციელდა 68 პროექტი, რომელთაგანაც ყველაზე მეტი – 28 პროექტი განხორციელდა მოსახლეობის სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. 23 პროექტი განხორციელდა შიდასასოფლო გზების წესრიგში მოსაყვანად, დანარჩენი 17 პროექტი კი ჩემს მიერ ზემოთდასახელებული სხვა პრობლემების მოგვარებაზე იყო მიმართული.

– ზოგადად ლაპარაკი რომ არ გამოგვიდეს, ხომ არ აჯობებდა დაგვეკონკრეტებინა, კერძოდ, რომელ სოფელში რა პროექტი განხორციელდა?

– ჩემს საუბარს სასმელი წყლის პრობლემების მოსაგვარებლად განხორციელებული პროექტებით დავიწყებ. ამ პროგრამის ფარგლებში გომბორის თემის სოფელ ვაშლიანში მოხდა სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია. იგივე სამუშაოები ჩატარდა სოფლებში მუხროვანში, კოჭბანში, სასადილოში, გორანაში, პატარძეულში. გიორგიწმინდაში მოხდა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების მოწესრიგება, რეზერვუარების გაწმენდა და დაქლორვა; აღნიშნული სამუშაოები ჩაუტარდა ამ თემის სოფლების – ანთოკის და მარიამჯვარის სასმელი წყლის სისტემებსაც.

სოფელ მანავში „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტით განხორციელდა სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები, გაიბურდა 120 გრძივი მეტრის სიღრმის სუბარტეზიული ჭა და დაიდგა წყლის ამოსაქაჩი ტუმბო, რომელთა სამუშაოების საერთო მოცულობამ 54733 ლარი შეადგინა. ამჟამად ამ ჭაბურღილიდან აღებული წყლის სინჯები გაგზავნილია ექსპერტიზაზე და ახლო მომავალში ვეღით პასუხს მის სასმელად ვარგისიანობის შესახებ. აქვე, ამ წელს იგეგმება დამატებით კიდევ ერთი ჭის გაბურღვა და სოფელში სასმელი წყლის მისაყვანი ქსელის მოწყობა.

მნიშვნელოვანი თანხები გაიხარჯა კაკაბეთში ე.წ. „საბას წყლის“ ქსელის რეაბილიტაციაზე, ვერხვიანში მოხდა სასმელი წყლის აღდგენა-რეაბილიტაცია; აქვე სასმელი წყალი შეიყვანეს საბავშვო ბაღის შენობაში, სადაც მოეწყო სველი წერტილები. სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები ასევე ჩაუტარდა ბადიაურში არსებულ ქსელებს. შიბლიანში მოეწყო წყლის შემკრები რეზერვუარი და წყალი ყველა პრობლემატურ უბანში იქნა გაყვანილი. სასმელი წყლის სისტემა მოეწყო თულარსა და კაზლარში.

იორმუდანლოში სასმელი წყლისათვის შეიძინეს რეზერვუარი და სასმელი წყლის პოლიეთილენის მილები. 1500 ლარი მოხმარდა წიწმატიანის სასმელი წყლის ჭაბურღილის ძრავის შეძენას, ზემო ლამბალოში კი დამონტაჟდა ავზი. რაც შეეხება შიდა სასოფლო და სხვა გზების რეაბილიტაციის სამუშაოებს, ეს სამუშაოები ჩატარდა გომბორში, რუსიანში, ასკილაურში, პალდოში, იკვლივ გორანაში, ნინოწმინდაში, წყაროსთავში, თოხლიაურში, სათაფლეში, ბურდიანში, დიდ ჩაილურში, პატარა ჩაილურში, იორმუდანლოში, ქეშალოში, დუზაგრამაში, პალდოში, წიწმატიანში, ზემო და ქვემო ლამბალოში, რომელთა შესრულებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები გაიხარჯა.

– საუბრის დასაწყისში თქვენ სარიტუალო ობიექტებიც ახსენეთ, კონკრეტულად რა გაკეთდა ამ კუთხით?

– სარიტუალო დანიშნულების ობიექტებიდან ამ პროგრამით გასულ წელს მოხდა სოფელ გომბორის დარბაზის კეთილმოწყობა, ვერონაში ამ დარბაზის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა. მსგავსი სამუშაოები ჩატარდა უდაბნოშიც. ასევე მოეწყო ცხაურები ხაშმის სასაფლაოს გზაზე, ყანდაურაში სასაფლაოსთან მოეწყო გადასასვლელი, ქეშალოში მოხდა სასაფლაოს შემოღობვა, ასევე შემოიღობა სასაფლაო ქვემო ლამბალოში, კაზლარში და ყანდაურაში, რომელსაც საკმაოდ მოცულობითი თანხები მოხმარდა. ამას გარდა, სარწყავი და სანაღვრე არხების აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა კაზლარში, ქვემო ლამბალოში, დუზაგრამის თემში.

– რამდენადაც ცნობილია, ამ პროგრამით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ზოგიერთი სოფლის გარეგნული იერის მოწესრიგებისათვის. კერძოდ სად, განხორციელდა აღნიშნული პროექტები?

– ასეთი სახის პროექტებში მუნიციპალიტეტის 5 სოფელი იყო ჩართული. კერძოდ, უჯარმაში მოეწყო სკვერი, ოთარაანთ კარში – მგზავრების მოსაცდელი, ყანდაურის ცენტრში შემოიღობა სკვერი, მზისგულში – სკოლის ეზო, პატარა ჩაილურში კეთილმოეწყო სოფლის ცენტრი, აქვე მოხდა სპორტდარბაზის იატაკის რეაბილიტაცია.

– თუ არ ვცდები, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამაში ზოგიერთი სოფლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კეთილმოწყობის სამუშაოებიც იყო გათვალისწინებული. როგორ გადაწყდა ეს საკითხი?

– რა თქმა უნდა, დადებითად. დავიწყებ ხაშმის საბავშვო ბაღის შენობით, რომელსაც ჩაუტარდა გამაგრებისა და გადახურვის სამუშაოები, ნინოწმინდაში მოგვარდა და მოეწყო წლების მანძილზე პრობლემად ქცეული სველი წერტილები. ასეთივე წერტილები მოეწყო ვერხვიანის საბავშვო ბაღში, ხოლო ყანდაურაში საბავშვო ბაღის შენობას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, ამ პროგრამის ფარგლებში მოხდა იორმუდანლოს ტერიტორიული ორგანოს შენობის სახურავის გამოცვლა, გიორგიწმინდაში კი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სოფლის ცენტრალურ გზას 2.6 კმ-ზე. ამას გარდა, რა თქმა უნდა, გვიხდებოდა სხვა, წინასწარ გაუთვალისწინებელი პრობლემების მოგვარებაც.

– როგორც ცნობილია, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის გარდა, გასულ წელს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის მიერ რეგიონებში განსახორციელებელი პროგრამების ფონდიდან მომართული იყო 3 448 777 ლარი. რა პროექტები განხორციელდება მისი მეშვეობით?

– აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ათეულობით წლების მანძილზე ამორტიზებული პატარა ჩაილური-კაკაბეთი-ვერხვიანი-ყანდაურის დამაკავშირებელი გზის ასფალტის საფარის აღდგენის სამუშაოები. ამ სამუშაოებს შპს „ავტობანი“ (დირექტორი შალვა ბუბუტეიშვილი) ასრულებდა. ორგანიზაციამ ეს ტენდერი 977 777 ლარად მოიგო და სამუშაოები მოკლე დროში – რაღაც 3 თვეში განახორციელა. მოეწყო 4,5 მეტრი სიგანის V კატეგორიის შიდასასოფლო გზა. ამავე ფონდის დაფინანსებით გასული წლის ბოლოსათვის დასრულდა სოფელ ხაშმის წყალსადენის ცენტრალური მაგისტრალის დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ფონდის დაფინანსებით სოფელ ნინოწმინდაში მიმდინარეობს სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოები. უკვე გაიბურღა 2 სუბარტეზიული ჭა და მიმდინარეობს მესამის ბურღვა. მსგავსი სამუშაოები ტარდება გიორგიწმინდაშიც. აქ უკვე გაიბურღა ყველა ჭაბურღილი, დაიდგმება ტუმბოები და ჩატარდება ყველა ის სამუშაო, რაც საჭიროა სოფლის მოსახლეობისათვის სასმელად ვარგისი წყლის შეუფერხებლად მიწოდებისათვის. ეს სამუშაოები გიორგიწმინდაში გასული წლის 9 ოქტომბერს დაიწყო და მიმდინარე წლის 9 მარტისათვის უნდა დასრულდეს. 10%-ითაა შესრულებული ქ. საგარეჯოს ქუჩების სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც მიმდინარე წლის თებერვლისათვის უნდა დასრულდეს.

გივი დაგახიშვილი

ახალი ამბები

აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებიდან“

2014 წელი მნიშვნელოვანი იქნება აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში“ შემავალი თითოეული ობიექტისათვის. აქ ყველა პირობა უნდა იყოს შექმნილი სწავლა-აღზრდის პროცესების ნორმალური წარმართვისათვის. ამიტომ მოწესრიგდება ყველა ის პრობლემა, რაც დღეისათვის ამ ობიექტებში არსებობს. კონკრეტულად:

✻ საგარეჯოს ე.წ. გაღმაუბნის დასახლებაში არსებული ყოფილი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში მალე ფუნქციონირებას დაიწყებს ***საგარეჯოს №6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.*** საწყის ეტაპზე აქ აღსაზრდელთა ერთ ჯგუფს ერთი აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე და მზარეული მოემსახურება.

✻ კვლავ აგრძელებს მუშაობას ***ლამბალოს სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული ორი ჯგუფი,*** რომელიც აქაურ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს სასკოლოდ მოამზადებს.

✻ ***საგარეჯოს №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას*** შეეცვლება ***სახურავი.***

✻ მანავის №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას ჩაუტარდება ***რემონტი.***

✻ კაკაბეთის №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზო ***შემოკავდება.***

✻ სოფელ უდაბნოში ***აშენდება*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ***ახალი შენობა.***

✻ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ყველა დაწესებულებაში მოეწყობა ***ცხელი წყლის სისტემები.***

✻ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ყველა დაწესებულებაში ***კვება*** გახდა ***სამჯერადი.*** მენიუ – მრავალფეროვანი, კვების პროდუქტებს დაემატა ქათამი, ლობიო, არაჟანი, „პეჩენია“, კაკაო და კისელი.

ახალი ამბები

ახალი პროექტები

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულების „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აღგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ მიხედვით საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის 2013 წლის 30 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აღგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოუყო გარკვეული თანხა, მათ შორის საგარეჯოს მუნიციპალიტეტს 2914 241 ლარი.

ამ თანხიდან ჩვენი მუნიციპალიტეტის მთელ რიგ ტერიტორიულ ორგანოებში განხორციელდება ის პროექტები, რომლებიც აქაურ მაცხოვრებლებს უკანასკნელ ორ ათეულ წელზე მეტია პრობლემად აქვთ ძცეული.

მაშ, ასე:

სოფ. **დიდ ჩაილურში** სასმელი წყლის გამოყვანისათვის გათვალისწინებულია 200 000 ლარი.

სოფელ **მანავში** სასმელი წყლის გამოყვანა არსებული ჭაბურღილიდან და დამატებით ერთი ჭაბურღილის მოწყობა – 340 000 ლარი.

სოფლების **ლამბალო-თულარის** ხიდის რეაბილიტაცია – 150000 ლარი.

სოფელ **ვერხვიანის** ცენტრალური გზის აღდგენა – 673000 ლარი.

სოფელ **გომბორში** ხევის უბანში ხევზე გადასასვლელი ხიდის მოწყობა – 210000 ლარი.

პატარძეულის სათავე ნაგებობების და შიდა ქსელის მოწესრიგება – 180 000 ლარი.

სოფელ **თოხლიაურის** სათავე-ნაგებობის გაბიონის მოწყობა – 87 000 ლარი;

სოფელ **ნინოწმინდაში** 400 მ3 მოცულობის რეზერვუარისა და 15 კმ-იანი შიდა ქსელების შეცვლა – 160 000 ლარი.

სოფელ **უდაბნოში** საბავშვო ბაღის შენობის აშენება – 280 000 ლარი.

ჩვენი გაზეთის ერთგულ ხელმომწერთ გასული წლის ბოლოს საჩუქრად „ფსალმუნთა კითხვის წესი“ გადავეცით. დღეს გთავაზობთ მცირე რჩევებს ფსალმუნთა კითხვისას:

ფსალმუნთა შინაარსის საერთო განყოფილება რიცხობრივად ათია და მოიცავს ფსალმუნების მთელ შემადგენლობას. მოკლედ რომ ვთქვათ, ფსალმუნები არის ყველასათვის ხელმისაწვდომი საავადმყოფო, სადაც ნებისმიერი ადამიანი იკურნება. მისი სიტყვა ყველას მიესადაგება. არ არსებობს ადამიანში ისეთი ქმედება, განზრახვა, ვნება, აზრი, რომლის წინააღმდეგ ვერ იპოვი ფსალმუნებში განკურნების საშუალებას. როდესაც ფსალმუნებს ვგალობთ, ერთი შეხედვით, მხოლოდ ხმებსა და სიტყვებს გამოვცემთ, სინამდვილეში კი სულებს აღვაშენებთ. ფსალმუნი ღმერთთან საუბარია, ის ანგელოზებს გვაახლოვებს და ეშმაკებს განდევნის. ფსალმუნი არის დაუძლეველი ფარი, რომელიც ადამიანებს საკუთარი თავისაგან, ვნებისაგან და იმავდროულად, ბოროტი სულებისგანაც იხსნის. მისი კითხვა ძალიან სასარგებლოა სულისთვის. ის ადამიანისთვის იგივეა, რაც ჰაერის მობერვა, სინათლის მოფენვა. როგორც იცით, ფსალმუნები იგალობება კიდეც, რაც, როგორც დედაკაცებზე, ასევე მამაკაცებსა და არასრულწლოვანებზე საოცარ გავლენას ახდენს. უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველ ადამიანში არის სულის ორი ნაწილი: ერთი გონიერი, მეორე – არაგონიერი და პირუტყვული, სიამოვნება კი ერთნაირად მოიცავს ერთსაც და მეორესაც. ეს არის ფსალმუნის გალობის შემოღების პირველი მიზეზი. იმის გამო, რომ ეშმაკი სიამოვნების გზით ცდილობს, რაიმე მზაკვრული ჩანაფიქრი შემოგვაპაროს, ადამიანი დაიღუპოს, თავის მხრივ, ღმერთიც სიამოვნების საშუალებით ცდილობს, გადაარჩინოს ადამიანი ბოროტის მანქანებისაგან. მაგრამ, ეს სიამოვნება განსხვავდება ეშმაკის შემოთავაზებული სიამოვნებისაგან. მესამე მიზეზი ფსალმუნთა გალობის შემოღებისა არის ის, რომ გალობას შეუძლია მგალობელთა გულებში დათესოს სიყვარული და ერთაზროვნება. მას ასევე შეუძლია ადამიანების შერიგება, ზემოქმედებს ადამიანის ხასიათზე და იწვევს მის გამოსწორებას. მორწმუნეს შეუძლია, თავის ყოველდღიურ ლოცვანში ჩართოს „დავითნი“ – ფსალმუნნი, რომელიც 20 კანონისა და 150 ფსალმუნისაგან შედგება. ***ერთ დღე-ღამეში მთელი „დავითნის“ წაკითხვისას, მკითხველზე ღვთისაგან გადმოდის დიდი მადლი.*** რადგან ძნელია ერთი ადამიანის მიერ ერთ დღეში მთელი „დავითნის“ წაკითხვა, ამიტომაც იქმნება მკითხველთა ჯგუფი, რომლებიც დღეში თითო კანონს კითხულობენ, შესაბამისად ისინი ერთ დღე-ღამეში ახერხებენ მთელი „დავითნის“ კითხვას და ერთმანეთის ახლობლებს, გარდაცვლილებს იხსენებენ. ამ წესის შესახებ არ არსებობს ეკლესიური სწავლება, თუმცა მისი შესრულება სასურველია ყველა ქრისტიანისათვის, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული დრო დაუთმონ ფსალმუნის კითხვას და ილოცონ როგორც საკუთარი სულის, ასევე ქვეყნისათვის, ოჯახისთვის, ჯგუფის წევრებისა და გარდაცვლებულთათვის. უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „ითხოვეთ და მოგეცეს თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვეთ, ირეკდეთ და განგეღოთ თქვენ, რამეთუ ყოველი, რომელი ეძიებდეს, ჰპოვოს და რომელი ირეკდეს, განეღოს“. უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა უნდა ილოცოს მთელი გულით და თუ შეუძლია ცრემლითაც, მხოლოდ მაშინ ისმენს უფალი ჩვენს თხოვნას.

ჟურნალი „თბილისელები“

მართლმადიდებლობა

რა მნიშვნელობა აქვს ფსალმუნების კითხვას?

ჩვენ გვწერენ:

„ვიყოთ გულმოდგინენი ჩვენი ქალაქის“

ჩვენს ქალაქში ნელ-ნელა დაიწყო ქუჩების მოწესრიგება, მაგრამ ეს მხოლოდ ავტომანქანებისათვის. ტროტუარები?! ე.წ. ბილიკები ქვეითად მოსიარულეთათვის – უყურადღებოდაა მიტოვებული. მხოლოდ დ. აღმაშენებლისა და რუსთაველის ქუჩები არ არის მთავარი ქუჩა. სტალინის, დღეს ერეკლე II-ის ქუჩად წოდებული ქუჩის ტროტუარები მოუწესრიგებელია – ზოგან ხის ფესვებისგან ისეა დაზიანებული, რომ იქ გავლაც კი შეუძლებელია, არამცთუ საბავშვო ეტლის გატარება. დაკვირვებიხართ, რომ ერეკლე II-ის ქუჩაზე ყველა ფეხითმოსიარულე შუა ქუჩაში, ავტომანქანის სავალ გზაზე დადის?!

ამას თან ერთვის გლეხური ბაზრის არ არსებობა – სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოვაჭრეები შუა ქუჩაში, ტროტუარებზე ვაჭრობენ – ჩახერგილია გასასვლელი ყუთებითა და დახლებით. ზოგჯერ ავტომანქანები უშუალოდ ტროტუარებზეა გაჩერებული და იქ ვაჭრობენ მოვაჭრეები. ხორცი, ყველი, თევზი, ბოსტნეული პირდაპირ ქუჩაში იყიდება. რამდენად დასაშვებია ეს სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით, ეს ყველამ კარგად ვიცით.

ქუჩებზე გადასვლა უკვე საშიშია, არსად არის სიჩქარის შემზღუდველი ნიშნები, არც ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელებია სადმე მონიშნული, სადაც მძღოლი შეანელებს მანქანის სიჩქარეს და ადამიანს მშვიდად გადასვლის საშუალება მიეცემა. ყველგან მანქანებია – აფთიაქების, ბანკების, მარკეტების წინ – სწორედ ტროტუარებზე. ჩვენ სად ვიაროთ?!

იქნებ ქალაქის ხელმძღვანელობამ მიაქციოს ყურადღება ამ საკითხს და გამოიჩინოს ინიციატივა, თუ ქალაქია, ქალაქს დავამსგავსოთ, თუ არა და, მარტო სახელი რას გვიშველის?!

ომარ კავთუაშვილი,
საგარეჯო

რედაქციისგან: ***ძვირფასო მკითხველო, ჩვენს ქალაქს, რომელსაც დაარსებიდან სამასწლოვანი ისტორია აქვს და როგორც ქალაქი მხოლოდ 50 წელს ითვლის, უამრავი პრობლემა და გასაჭირი აქვს. მხოლოდ უბრალო, ჩვეულებრივი მოქალაქეები ნუ ვიქნებით, გამოვიჩინოთ გულშემატკივრობა და ჩვენც ისე მივხედოთ და ვუპატრონოთ, როგორც ჩვენ გვევალება. ქუჩაში უამრავი მაწანწალა ძაღლია, რომელსაც პატრონი მაშინ უჩნდება, როცა მათ მოცილებაზე დგება საკითხი; განა ჩვენ თვითონვე არ ვანაგვიანებთ ნაგვის ურნების გარშემო ქუჩებს და ელემენტალურად, დიდთოვლობის დროს ჩვენი გასადევრებსა და ჩვენივე კუთვნილი მადაზიების წინ ფართს თოვლისაგან არ ვათავისუფლებთ... პრობლემები სწორედ ჩვენი გულგრილობიდან იწყება. მოდით, ვუპატრონოთ ჩვენს ქალაქს და გავაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, დანარჩენი საკეთებელი კი ქალაქის ხელმძღვანელობას მოვთხოვოთ.***

სოფლის მეურნეობა

„თებერვალი დადგაო...“

თუმცა ხალხური გამონათქვამია, „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“, მაგრამ ხეში წყლის ჩადგმისა რა მოგახსენოთ, როცა საგარეჯოში ტემპერატურა ერთხანს -20 გრადუსამდე დაეცა, მაგრამ, თებერვალი კი დადგა.

თებერვლიდან კი უკვე გაზაფხული იწყება.

ამ დროისათვის ხეხილის ბაღებში ტარდება სანიტარულ-ჰიგიენური სამუშაოები, ვენახში სხვლა, ითესება ბოსტნეული კულტურები.

ბოსტნეული კულტურების თესვის დროს აუცილებლად დიდი ყურადღება ექცევა თესლბრუნვას. ეს აუცილებელია, რათა არ მოხდეს ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გაუარესება და მავნებელ დაავადებათა გავრცელება.

ერთწლიანი კულტურების დასათესად საჭირო წინამორბედი კულტურების აღებისთანავე ნაკვეთი გაიწმინდოს ნარჩენებისაგან და მოიხნას მზრალად.

ბოსტნეული კულტურების მაღალი მოსავლის მიღების საქმეში დიდ როლს ასრულებს კარგი მზრალი – საამისოდ კი ნიადაგი უნდა მოიხნას ნოემბრის ბოლომდე.

თესვამდე შეგვაქვს სასუქები და ტარდება კულტივაცია. საბოსტნე ნიადაგი კარგად უნდა იყოს მოსწორებული, რომ შესაძლებელი იყოს კარგი რწყვა, რაც ბოსტნეული კულტურების მაღალი მოსავლის მისაღებად აუცილებელი პირობაა.

ამ დროისათვის უკვე ითესება: ხახვი, ნიორი, მწვანილები, სტაფილო, ისპანახი, თვის ბოლოკი და სხვა.

კვალსათბურებში ითესება პამიდორი, კომბოსტო, მარტში – კიტრი.

კვალსათბურში თესვას სჯობია – კასეტებში ან ერთჯერად ჭიქებში ჩათესილები ჩაიდგას. გადასარგავად ადვილია და გახარების პროცენტი დიდია.

10-დან 20 აპრილამდე ყველა დანარჩენი კულტურა ითესება. ასევე ღია გრუნტში ითესება პამიდორი, კიტრი და ბაღჩეული კულტურები.

ბოსტნეული კულტურების მაღალი მოსავლის მისაღებად უნდა დავიცვათ ყველა აგროწესები.

ლოლა დათუნაშვილი,
სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტი.

მეტი პროდუქტიულობისათვის

ესაქონლეობა საგარეჯოს რაიონისთვის ერთერთი წამყვანი დარგია. ოდითაგანვე მისდევდა ამ საქმიანობას ადგილობრივი მოსახლეობა, რაც განპირობებულია გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, კერძოდ საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით , რაც მეტად ეკონომიურსა და რენტაბელურს ხდის მესაქონლეობას.

ბოლო ხანებში გაძლიერდა ინტერესი ამ დარგის მიმართ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი-ენდემური ჯიში საჭიროებს გადახალისებას , ანუ ჯიშის გადაყვანას მერძეული, მეხორცული ან მეხორცულ-მერძეული მიმართულებით, რაც გულისხმობს, რომ ერთადაიგივე პირობებში მივიღოთ უფრო მეტი პროდუქცია, ეს კი მნიშვნელოვანია საკვებ პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

საგარეჯოს კერძო ვეტერინარული სამსახური – ვეტები წარმოადგენს ფართო პროფილის ვეტსერვისს, კერძოდ ვემსახურებით ცხოველთა ჯნმრთელობის დაცვას - კონსულტაციას, თერაპიულს, ქირურგიულს, პროფილაქტიკურ აცრებს, შინაგანი და გარეგანი პარაზიტების საწინააღმდეგო დამუშავებას, რძის გამოკვლევას ბრუცელოზზე და სხვა. რაც მთავარია ხელოვნურ განაყოფიერებას.

ავირჩიეთ შვიცისა და ჯერსის ჯიში: ერთი მეხორცული, მეორე მერძეული, რადგან ეს ჯიში ახლოს დგას ადგილობრივ ჯიშთან, ახასიათებს სწრაფი წონამატი, ნაყოფი დიდი არ არის და არ უჭირს გაჩენა, ასევე ნახირში სიარულიც არ უჭირთ, ამიტომ უფრო მისაღებია მოსახლეობისთვის. რძე მაღალი ცხიმიანობით ხასიათდება, რაც ყველის წარმოებისთვის განმსაზღვრელია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვაკითხონ შემდეგ მისამართზე: საგარეჯო ლესელიძის 5, 597 06 96 66, 790 98 30 66, 557 33 80 66,

ეკა გუზარიაშვილი ,
საგარეჯოს ვეტერინარული სამსახური

ვიყოთ უყურადღებით და ფრთხილად

ხანძარმა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა

ეს უბედური შემთხვევა გასულ კვირას, 9 თებერვალს მანავში დატრიალდა. დილის საათები იქნებოდა, როცა მეზობლებმა და ნათესავებმა 86 წლის მარტოხელა მოხუცის ქეთევან ფოცხვერაშვილის ძველისძველი, სანახევროდ ფიცრული სახლის ორივე სართული ცეცხლის ალში გახვეული დაინახეს. ვიდრე გონზე მოვიდოდნენ და გაანალიზებდნენ, ცეცხლში სახლის პატრონიც ხომ არ მოჰყვაო, ანდა სახანძრო-სამაშველო სამსახურის ტელეფონის ნომრებს გაარკვევდნენ, საკმაო დრო გავიდა.

– აღნიშნულ ხანძარზე ჩვენს სამსახურში შეტყობინება 11 საათსა და 57 წუთზე შემოვიდა. მაშინვე სამი სახანძრო ეკიპაჟმა მანავისაკენ ავიღეთ გეზი, – გვიყვება ***საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი ზაქარია ოტიაშვილი –***

– სახლი სოფელ ბურდიანთან მადალ გორაკზეა და სანამ შემთხვევის ადგილზე მივიდოდით ცეცხლს მთელი შენობა უკვე დაეწვა. როგორც გარდაცვლილის დისშვილისაგან შევიტყვეთ, წინა საღამოს მას დეიდისათვის შეშა დაუჭრია და ღუმელის ასანთებად სახლში შეუტანია. მისი განცხადებით, მოხუცი სახლში უნდა ყოფილიყო, რადგან გარეთ გამოსული არც მას და არც რომელიმე მეზობელს არ შეუნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეხანძრეები ხანძარს თავდაუზოგავად ებრძოდნენ, მის ჩაქრობას და საბოლოო ლიკვიდაციას დიდი დრო დასჭირდა. ბოლო მანქანამ შემთხვევის ადგილი 14 საათსა 50 წუთზე დატოვა. მდგომარეობას გვირთულებდა ისიც, რომ მანავში წყალს ვერსად ვიღებდით და მარაგის შესავსებად საგარეჯოში გვიხდებოდა ამოსვლა. თავის შექება ამ შემთხვევაში უადგილოა, მაგრამ გვქონია შემთხვევა, 40-50 წუთში ბადიაურში ჩავსულვართ ხანძრის ჩასაქრობად და ორსართულიანი სახლი გადაგვირჩენია დაწვისაგან.

მოვრჩით თუ არა ხანძრის ლიკვიდაციას, მოხუცის ნეშტის ძებნას ნიჩბებით შევუდექით, გარეთ გამოვიტანეთ თითქმის მუხლებამდე დამწვარი გვამი, რომელსაც სახლის კუთხესთან, ფანჯარასთან მივაკვლიეთ. წინასწარი ვარაუდით ხანძრის მიზეზი შეშის ღუმელი გახდა. ეს ჩანს იქიდან, რომ იატაკზე გადმოვარდნილმა ნაკვერჩხალმა ხანძარი გააჩინა, რის კვამლმაც გაგუდა მოხუცი და ადგილზევე დაიწვა. უფრო დაწვრილებით დეტალებს კი ალბათ გამოძიება დაადგენს.

გ. დაგახიშვილი

კულტურის გაერთიანების ობიექტების გასული წლის მუშაობაზე ამავე გაერთიანების დირექტორი ბესო ღვინაშვილი გვესაუბრება:

გასული, 2013 წელი მნიშვნელოვნად ნაყოფიერი იყო საგარეჯოს ა.ი.პ. კულტურის ობიექტების გაერთიანებისთვის. ასე, მაგალითად:

საგარეჯოს კულტურის სახლში წლის განმავლობაში ჩატარდა ბევრი საინტერესო ღონისძიება. მათგან აღსანიშნავია:

პოეზიის საღამოები: სახალხო მთქმელის გრიშა აფციაურის 85 წლის იუბილე, საგარეჯოელ პოეტ ეკა ქურხულთან შეხვედრა.

კულტურის სახლის შემოქმედი კოლექტივები აქტიურად მონაწილეობდნენ რაიონის სახალხო დღესასწაულებში. განსაკუთრებით საინტერესო და თეატრალური იყო თავისი შინაარსიდან გამომდინარე "ბერიკაობა" სოფელ ჩაილურში.

ქალთა საერთაშორისო დღე, რომელმაც დამსწრე ქალბატონების მოწონება დაიმსახურა,ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი ფოლკლორული კოლექტივები და მოწვეული ანსამბლი "სნო".

საგარეჯოს სახალხო თეატრში დაიდგა პატრიოტული ხასიათის სპექტაკლი "გარეჯულა" ლ. გოთუას ნაწარმოების მიხედვით.

ჩვენი რაიონის მაყურებლისთვის ნაჩვენები იქნა ცხინვალის სახელმწიფო თეატრის და ხარაგაულის სახალხო თეატრის

კულტგაერთიანების ობიექტებში

„წინ საინტერესო,შემოქმედებითი მუშაობა გველის"...

სპექტაკლები.

საგარეჯოს თოჯინების თეატრის დასმა ნაყოფიერად და წარმატებულად იმუშავა. თეატრმა მოიარა რაიონის თითქმის ყველა სოფელი, სადაც გამართა 27 სპექტაკლი. სასიხარულოა, რომ ქართულმა სპექტაკლმა დიდი დაინტერესება გამოიწვია აზერბაიჯანული სექტორის სკოლის მოსწავლეებში და მოხდა შეთანხმება, რომ მომავალი სასწავლო წლიდან რეგულარულად მოეწყობა აზერბაიჯანული ზონის ბავშვებისათვის სხვადასხვა სპექტაკლების ჩვენება.

ჩატარდა არა ერთი საქველმოქმედო ღონისძიება. ერთ-ერთი ასეთი იყო: აფხაზეთში და სამაჩაბლოში დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ორგანიზატორი იყო საქართველოს ქალთა საბჭო. შემოქმედებით მხატვრულ ნაწილში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საგარეჯოს კულტურის სახლი.

ჩატარდა ქორეოგრაფიული ანსამბლების "სამას" და "იმედის" საანგარიშო კონცერტები, სადაც მოწვეული იქნენ საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის წარმომადგენლები და სხვადასხვა ფოლკლორული ანსამბლები. მათი მუშაობა შეფასებული იქნა მაღალ დონეზე.

ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: „იმედმა", "კაკაბელებმა" და „კასლეთილამ" მონაწილეობა მიიღეს ფესტივალ „არტ-გენში".

ანსამბლმა „იმედმა" მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულ ფესტივალში, რომელიც ჩატარდა ყვარელში, ასევე ლაგოდეხში ჩატარებულ სამხარეო ფოლკლორულ ფესტივალში და ფილარმონიაში ჩატარებულ წლის საუკეთესო კოლექტივების შემაჯამებელ კონცერტზე.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთან ერთად ჩატარდა „მხიარულთა და საზრიანთა" კლუბის თამაშები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ რაიონის სკოლის მოსწავლეები.

სიმფონიური მუსიკის მოყვარულთათვის გასულ წელს კულტურის სახლის მცირე დარბაზში გაიმართა ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებითი საღამო – სიმფონიურ კვარტეტთან ერთად და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ტრიოს კონცერტი.

ივნისში გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმში ჩატარდა პოეტის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მონაწილეობას იღებდნენ რაიონის შემოქმედებითი ჯგუფები, მოწვეული სტუმრები მწერალთა კავშირიდან და კულტურის სამინისტროდან.

სოფელ უდაბნოში ჩატარდა სახალხო დღესასწაული სლოგანით "აქ მთელი საქართველოა", რომელმაც ფართო მასების დიდი მოწონება დაიმსახურა, აქვე დაანონსდა ფოკლორული ფესტივალის ჩატარება ჩიჩხიტურის კოშკთან,რომელიც სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჩატარდება, სადაც მოწვეულნი იქნებიან სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ფოლკლორული კოლექტივები. აღნიშნული ფესტივალი ჩატარდება ყოველწლიურად.

ასევე ჩატარდა საბავშვო გასართობი საახალწლო ნაძვის ხის ზეიმი, დარიგდა საჩუქრები.

2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში ჩატარდა არაერთი საინტერესო ღონისძიება.

ბიბლიოთეკაში მოწყობილია ფოტო გამოფენები: დავით გარეჯის მონასტერი და ბუნება მბრძანებელია. სისტემატიურად ხდება ახალი პერიოდიკის და ახალი წიგნების გამოფენის განახლება, მოწყობილია ჩვენი რაიონის მწერლის რევაზ ინანიშვილის გამოფენა, რომლიც ილუსტრირებულია თამარ იორამაშვილის ნახატებით; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გოდერძი ჩოხელის საიუბილეო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელსაც ამშვენებს თამარ იორამაშვილის ნახატი „ჩოხის ხეობა" და სხვა ილუსტრაციები; ბიბლიოთეკაში ბავშვებისათვის მოწყობილია ნიკო ფიროსმანაშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა „ფერში ამეტყველებული განწყობა", აგრეთვე, ნოდარ დუმბაძის 85 წლის საიუბილეო გამოფენა „მზიანი გულის მწერალი", კონსტანტინე გამსახურდიას,ექვთიმე თაყაიშვილის და იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო გამოფენები, პოეტ გიორგი ლეონიძის წიგნების გამოფენა „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები".

ბიბლიოთეკამ აქტიურ მკითხველებთან მოაწყო წიგნის განხილვები: ო.იოსელიანის „ქალი მაინც ქალია", უფროსკლასელებისათვის - „რაზიკაშვილები –ვაჟა, ბაჩანა-თედო", „დიდი ქართველები" –ექვთიმე თაყაიშვილი.

ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული საღამო „ზნეობრივი ვალი ლიტერატურაში – ოთარ ჭილაძის, რევაზ ინანიშვილის და გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებების მიხედვით".

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გოდერძი ჩოხელის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო „ბინდისფერი ხეობიდან ცამდე", სადაც მოეწყო ავტორის ახალი წიგნის პრეზენტაცია.

მოეწყო ღონისძიება ბავშვებისათვის „მზიანი გულის მწერალი –ნოდარ დუმბაძე", „ზღაპრული ვეფხისტყაოსანი"-მიძღვნილი დაბეჭვდიდან 300 წლისადმი. პაპებისადმი მიძღვნილი ღონისძიება--„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია", „ექვთიმე თაყაიშვილი -150 წელი", გ. ლეონიძის პოეზიის საღამო „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები".

ბიბლიოთეკაში მოეწყო კონკურსები - "მე ვკითხულობ გალაქტიონ ტაბიძის პოეზიას"; „ქართული ენა,ჩემი საფიცარი და სიყვარულის საგალობელი" -მიძღვილი ქართული ენის დღისადმი. „ ქალაქი საგარეჯო – 50 წლისაა" –საინფორმაციო მასალების მოძიების მიზნით.

დეკემბრის ბოლოს ჩატარდა საახალწლო ღონისძიება პატარა მკითხველების მონაწილეობით.

წინ დიდი და საინტერესო სამუშაო გველის კულტურის გაერთიანების თანამშრომლებს. ახალი წელი ახალ-ახალ მნიშვნელოვან საკითხებზე სამუშაოდ გვიწვევს.

სხვა გაზეთებიდან

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო..."

საქართველოში ნიჭიერება არავის უკვირს – თუმცა კი ღვთით ბოძებული ეს სიმდიდრე ძალიან მცირე ნაწილს მოუხმარია შნოიანად – ნიჭიერთა უმეტესობა ან გამოუსწორებელი ზარმაცი და „მედღეხვალიეა", ან ზერელე და გულგრილია საკუთარი ნიჭისადმი და არ იცის, სად წაიღოს, როგორ მოიხმაროს...

ეს ახალგაზრდა კაცი კი, რომელზეც უნდა გიამბოთ, სასიამოვნო გამონაკლისია, იმ მცირედთაგანია, ვინც კარგად იცის, რომ ნიჭი ბეჯითი შრომის გარეშე უსარგებლოტვირთად შეიძლება ექცეს ადამიანს...

ყველაფერი დიდი ხნის წინ დაიწყო, როცა თორნიკე ვაჭრიშვილი სულ პატარა, სამი წლის იყო. ბავშვს ფეხი ასტკივდა. ტკივილები დიდხანს გაგრძელდა და მალე გაუსაძლისი მდგომარეობა შეექმნა. საქართველოში თითქმის არ დარჩენილა ექიმი-ორთოპედი, ვინც ბავშვი არ გასინჯა, მაგრამ ამაოდ – ვერავინ ვერაფერი გაუგო. მშობლებმა ის გერმანიაში წაიყვანეს – ქალაქ ერფურტის კლინიკაში ბავშვს უმოკლეს ხანში დაუსვეს სწორი დიაგნოზი და მკურნალობაც შესაბამისად წარმართეს. სულ მალე ბავშვი ფეხზე დადგა, თუმცა კი ექიმთა მეთვალყურეობა და პერიოდული მკურნალობა ისევ სჭირდებოდა, ამიტომ ოჯახის ყოფნა ერფრუტში 7 წელიწადს გაგრძელდა.

ამ ხნის მანძილზე ბიჭები (უფროსი გიორგი და უმცროსი თორნიკე) ერფრუტის სკოლაში სწავლობდნენ და შესანიშნავად აითვისეს გერმანული ენა. თუ ახლადჩასულნი გერმანიაში ორ სიტყვას ვერ უყრიდნენ თავს, შვიდი წლის შემდეგ დედმამას გერმანული ზედწოდებით მიმართავდნენ. 2005 წელს ვაჭრიშვილები დაბრუნდნენ საქართველოში. მაშინ თორნიკე 11 წლის იყო. ბიჭებმა სწავლა გააგრძელეს საგარეჯოს რაიონის მანავის საჯარო სკოლაში (ვაჭრიშვილები იქაურები არიან, მათი დედაა მცხეთელი, ამჟამად მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი მეგი ნონეშვილი).

ოჯახისათვის უმთავრესი, რა თქმა უნდა, თორნიკეს დაბრუნებული ჯანმრთელობაა, მაგრამ მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ბიჭებმა გერმანული შრომისმოყვარეობის წესი შეითვისეს და ჩამოიყოლეს იქიდან.

და დაიწყო ვაჭრიშვილების უმცროსი ვაჟის – თორნიკეს აღმასვლა სკოლაში – არ მოწყობილა არც ერთი კონკურსი თუ შეკრება გერმანულ ენაში – სკოლაში, საგარეჯოში თუ თბილისში, რომ თორნიკე მათი მონაწილე არ ყოფილიყო და გამარჯვებულის სიგელი ან წარჩინებული კონკურსანტის სერტიფიკატი არ აეღო.

ერთ-ერთ სასკოლო ოლიმპიადაზე გამარჯვებული თორნიკე ვაჭრიშვილი მოხვდა ქვეყნის 150 ნიჭიერ მოსწავლეს შორის, რომლებიც წყნეთში გაგზავნეს დასასვენებლად. წყნეთში მყოფმა თორნიკემ კიდევ გაიმარჯვა პრეფექტის ასარჩევ კონკურსში და მოხვდა იმ 8 ბავშვის სიაში, რომლებიც ინგლისში გაგზავნეს ორი კვირით დასასვენებლად.

პარალელურად თორნიკეს მოპოვებული აქვს თანრიგები ჭადრაკში გამართულ სხვადასხვა ოლიმპიადაზე. მის არსენალში ძევს ისტორიაში, გეოგრაფიაში და სხვა სასკოლო საგნებში, რაიონულ თუ რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე გამარჯვებულის სიგელებიც.

მეათეკლასელმა თორნიკემ XI კლასის პროგრამა ექსტერნად ჩააბარა და 2011 წლის ბოლოს გამოცდები ჩააბარა ქართულ-ამერიკულ სკოლა „ლოგოსში" და 100 შესაძლებლობიდან 100 ქულა დაიმსახურა, ამ პრესტიჟულ სკოლაში სწავლების საფასური 5200 აშშ დოლარია, თორნიკემ კი 100%-იანი გრანტი მოიპოვა და წელს ოქროს მედალზე დაამთავრა აღნიშნული სასწავლებელი.

წელსვე ეროვნულ გამოცდებზეც წარმატებით გამოვიდა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა – აქაც 100%-იანი გრანტით! (შევნიშნავთ, რომ არც გიორგი და არც თორნიკე მასწავლებელთან არასოდეს მომზადებულან).

მართალია, თორნიკემ გერმანული ენა კარგად იცის, მაგრამ მის სრულყოფაზე კვლავაც აგრძელებს ფიქრს. მომავალ შრომით სემესტრს გერმანიაში გეგმავს; ისევ ერფრუტში, სადაც მისი ძმა გიორგი სწავლობს – ისიც ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

ასე, რომ ბიჭებმა თავიანთი ბეჯითი შრომით და სწავლით უკვე გაჭრეს გზა ევროპაში! ისინი მომავლის მოქალაქენი არიან და ვუსურვოთ, რომ მიღებული სწავლა-ცოდნა საკუთარი სამშობლოს დაწინაურებას მოახმარონ – ბებერი ევროპა ხომ ისედაც წინ არის!..

გაზეთი „მცხეთა"
2013 წლის ნოემბერი

P.S. რაც შეეხება გიორგის, ის სწავლობდა მანავის საჯარო სკოლაში. როგორც XI კლასის მოსწავლემ, ექსტერნული წესით ჩააბარა გამოცდები და გახდა XII კლასის მოსწავლე. წინსწრებით დაამთავრა საჯარო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე გერმანულენოვან სექტორზე.

პარალელურად თამაშობდა ფეხბურთს საგარეჯოს „გარეჯის" საფეხბურთო გუნდში. მანამდე კი 10 წლის ასაკში ფეხბურთს თამაშობდა გერმანიაში, ქ. ერფრუტის ახალგაზრდულ გუნდში. გიორგიმ წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტის ორი კურსი და მონაწილეობა მიიღო სტუდენტურ გაცვლით პროგრამაში, რის შემდეგაც გააგზავნეს გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად. დღეს იგი ქ. ერფრუტის უნივერსიტეტის ბაკალავრიის სტუდენტია. ამავდროულად ვარჯიშს განაგრძობს საფეხბურთო კლუბში.

გიორგისა და თორნიკეს მამა – ნოდარ ვაჭრიშვილი ამჟამად მანავში ცხოვრობს და უმუშევარი, პროფესიით ეკონომისტ-ფინანსისტია. ნოდარი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის ემზადება – დიდი სურვილი აქვს კენჭი იყაროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმ,ა ვნახოთ, წარმატებული შვილების მამა რას იზამს...

ჩვენი თანამემამულენი

სპორტი

სპორტულ კლუბებში

„იაგუარის“ მწვრთნელი ახალ წარმატებებს გვპირდება

მუღანლოს სკოლა, რომლის სპორტულ დარბაზში სხვა სპორტულ წრეებთან ერთად შერეული ორთაბრძოლების კლუბი „იაგუარია“ განთავსებული, სოფლის გზიდან მოშორებით, გორაკზეა აღმართული და ფეხით მიმავალს გზაზე საბრძოლო ხელთათმანებით მომავალი პატარები მხვდებოდნენ. სკოლაში მოწყობილ სავარჯიშო დარბაზში დამიხვდნენ მათი მწვრთნელი იბრაგიმ მამედოვი და მისი მეგობრები.

როგორც იბრაგიმმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, კლუბი „იაგუარი“ მას ერთი წლის წინ დაუარსებია, რომ აქაურ პატარებს სხვადასხვა საკლუბო ასპარეზობებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მისცემოდათ, ისე კი, ამ დასახლების მოზარდებს თურმე უკვე მეშვიდე წელია ავარჯიშებთ. აზერბაიჯანელი „მოჩხუბარი“ პატარების აღმზრდელი დუზაგრამიდანაა. პატარაობისას ბაქოში დაუფლებია კიკბოქსინგის საიდუმლოებებს. არის კავკასიის, აზერბაიჯანის, ირანის, თურქეთის, აზიის 19-გზის ჩემპიონი.

– საერთაშორისო ტურნირებში ოცჯერ მაქვს მიღებული მონაწილეობა და მხოლოდ ერთხელ გამოვედი მეორე ადგილზე, ვარ სხვა ადგილობრივი და პატარ-პატარა შეჯიბრებების ჩემპიონი, – თავის მოწონების გარეშე მიმჟღავნებს თავის წარმატებებს იბრაგიმი. – ასაკით სპორტისათვის არც თუ ისე დიდი ვარ, მაგრამ ამ სამწლინახევრის წინ ფეხზე ტრავმა მივიღე და იძულებული გავხდი აქტიური სპორტისათვის თავი დამენებებინა და მთლიანად აქაური პატარების აღზრდის საქმეზე გადავრთულიყავი.

თავიდან, როცა ამ საქმეს მოვკიდე ხელი, აქ ცარიელი კედლების გარდა არაფერი იყო, ყველაფერი რაც აქ არის, ჩვენი შეძენილი და გაკეთებულია. ახალი წლის დასაწყისიდან ამ სკოლის ბაზაზე გაიხსნა ძიუდოსა და თავისუფალი ჭიდაობის სექციები, სადაც მასწავლებლად მიხეილ ქურხული დაინიშნა. ამის წყალობით არის შემოტანილი ეს ტატამის ლეიბი, რომელსაც თქვენ ახლა ხედავთ, თორემ ადრე იატაკზე მუყაოს დაშლილი ყუთები გვქონდა გაფენილი და მასზე გვიხდებოდა ვარჯიში.

როგორც ხედავთ, სკოლაში გათბობა არ არის და დარბაზს შეშის ღუმელით ვათბობთ, რისთვისაც შეშა სახლებიდან მოგვაქვს. ვარჯიშისათვის საჭირო ის მცირე ინვენტარიც, რაც აქ გვაქვს, ჩვენი შემოტანილია. ასეთ პირობებში ნამდვილად ძნელია ვარჯიშების ჩატარება, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, თუ კაცმა მოინდომა, მთას დაძრავს ადგილიდანო. ასეთი გაჭირვების მიუხედავად, სპორტის ამ სახეობაში აღზრდილი მყავს აზერბაიჯანის, აზიის, საქართველოსა და სხვა შეჯიბრებების ჩემპიონები და პრიზიორები. გასული წლის მაისში ბაქოში გამართულ აზერბაიჯანის პირველობის, კერძოდ პროფესიონალური კიკბოქსინგის კლუბის „QIK“ ჩემპიონები თავიანთ ასაკებში გახდნენ „იაგუარის“ სამი აღსაზრდელი: მათლაბ გასანოვი, იბადათ ჯამალოვი და ელვინ ქაზუმოვი. იმავე 2013 წლის ივნისში აზერბაიჯანში კიკბოქსინგის ჯუბოქსინგის ფედერაციის ჩატარებული აზიის პირველობის ჩემპიონები გახდნენ ფარიდ ხალაფოვი და ელმირ ჯაფაროვი.

ფარიდ ხალაფოვი

გვყავს საქართველოს ტაიბოქსისა და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის მოწყობილი საქართველოს პირველობების გამარჯვებულები, კიკბოქსინგის ღია რესპუბლიკურ პირველობაში პროფესიონალებში შარშან ჩემპიონი გახდა მახმად ალიევი, ხოლო ისმაილ ხალაფოვმა II ადგილი დაიკავა.

ჩვენმა აღსაზრდელებმა 2014 წლის დასაწყისში (15-16 იანვარს) აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბაკურიანში ლერი ლომიძის ხსოვნის ტურნირში „კიკბოქსინგი ნარკომანიის წინააღმდეგ“. აქ პირველი ადგილები და ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს ჯაფარ ჯამალოვმა და მახმად ალიევმა, ხოლო იბადად ჯამალოვმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. მათ შესაბამისი სინჯების მედლებთან ერთად გადაეცათ საქართველოს კიკბოქსინგისა და ტაიბოქსინგის კლუბ „მგლების“ პრეზიდენტის მიხეილ ბაკაშვილის ხელმოწერით დადასტურებული დიპლომები.

ელმარ ჯაფაროვი

„იაგუარის“ აღსაზრდელებს მონაწილეობა აქვთ მიღებული საქართველოს საბრძოლო ხელოვნების კავშირის მიერ კლუბებს შორის ჩატარებულ შეჯიბრში და არც აქედან დავბრუნებულვართ მედლებისა და დიპლომების გარეშე. კერძოდ, აქ ჩემპიონები გახდნენ ალი გასანოვი, მათლაბ გასანოვი, ელვინ ქაზუმოვი, იუსუფ ჯამალოვი, თუნჯაი ხუბანოვი, არაზ ხალაფოვი.

– თუ თქვენს მიერ დასახელებული ჩემპიონების რაოდენობას გავითვალისწინებთ, გამოდის ბევრი აღსაზრდელი გყოლიათ კლუბში, არა?

– სადღეისოდ კლუბში ჩვენი აზერბაიჯანული სოფლებიდან 40 აღსაზრდელს ვავარჯიშებ, თუმცა უნდა გითხრათ, რომ აქ ვარჯიშის მსურველი ბევრია, მაგრამ ვერ მოდიან სათანადო ფართის უქონლობის გამო. მდგომარეობა გაგვირთულა იმანაც, რომ აქ გახსნილი ძიუდოსა და თავისუფალი ჭიდაობის სექციების გამო, დრო აღარ გვრჩება ვარჯიშის დღის საათებში ჩასატარებლად და უმეტესად საღამოს ხუთი საათისათვის გვიწევს ვარჯიშები, როცა ამ სექციების მეცადინეობა მთავრდება. არადა, როგორც ზემოთ გითხარით, ეს დარბაზი ჩვენი ძალებით გაკეთდა და მოეწყო. სავარჯიშო ფართის და სათანადო დროის გარდა, განვიცდით ვარჯიშისათვის საჭირო სპორტული ინვენტარის ნაკლებობას, არ გვყოფნის ხელთათმანები, არ გვაქვს ე.წ. „გრუშა“ და სხვა. თავს არ ვიქებ, მაგრამ თუკი ზემდგომი ორგანოების მხრიდან გვექნება ამ საკითხებში თანადგომა და დახმარება, ამ დარბაზში შეიძლება მომავალი მსოფლიო ჩემპიონების გაზრდა და დაფრთიანება.

– არ მინდა იბრაგიმის პირში ქებად ჩამეთვალოს, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ აქ გახსნილი ჭიდაობის შემსწავლელ სექციებში იმის მესამედი ბავშვიც არ დადის, რამდენიც იბრაგიმ მამედოვთან, – საუბარში გვერთვება მუღანლოს სკოლის წარმომადგენელი გამბარ ფაშაევი. – უკვე მეშვიდე წელია, ის ჩვენს ბავშვებს ავარჯიშებს და რომელ შეჯიბრშიც კი წავიდნენ, უმედლებოდ არასდოს დაბრუნებულან. სპორტის ეს სახეობა უყვართ ჩვენს ბავშვებს და ძალზე პოპულარულია. ამას მოწმობს იბრაგიმის შედეგები. 7 წლის მანძილზე ასეთ პირობებში იბრაგიმმა ბევრი კარგი სპორტსმენი აღზარდა და სათანადო ხელშეწყობის პირობებში ალბათ უფრო უკეთესი შედეგები ექნებათ. ვფიქრობ, რაიონის ხელმძღვანელობამ ყურადღება უნდა მიაქციოს კლუბის მუშაობას.

– იბრაგიმ, ამბობთ, რომ სპორტის ეს სახეობა უფრო პოპულარულია სხვა სახეობებთან შედარებით, ნუთუ არ გამოჩნდნენ სოფელში ისეთი ადამიანები, ვინც დაინტერესდებოდა კლუბის საქმიანობით და დახმარების ხელს გამოუწვდიდნენ მის აღსაზრდელებს?

– სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები ჯერჯერობით არ გამოჩენილან. ერთადერთი, ვინც ამ საქმეში დახმარების ხელი გამოგვიწოდა, სკოლის დირექტორი მახმადალი გასანოვია. ასევე მეხმარებიან და გვერდში მიდგანან ჩემი მეგობრები – ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გალბიათ გაჯიევი და ჰაქიმ კულიევი. მეგობრები: ეთიბარ მირზაევი, ნეიმათ ალიევი და სხვები. ამისათვის მე დიდ მადლობას ვუხდი მათ მახმადალი გასანოვთან ერთად. ჩვენის მხრივ კი შევეცდები, რომ არც მომავალში შევირცხვინოთ თავი. 15 თებერვალს ჩვენ უკვე თბილისში გამართულ ახალ შეჯიბრებაში მივიღებთ მონაწილეობას და ვფიქრობ, არც იქიდან დავბრუნდებით მედლებისა და შედეგების გარეშე.

გ. დაბახიშვილი

სპორტულ დარბაზებში

იანვარ-თებერვლის სპორტული კალეიდოსკოპი

საქართველოს სარეიტინგო ტურნირზე

ძიუდო

1-2 თებერვალს საგარეჯოს ძიუდოს დარბაზი კვლავ მოექცა ძიუდოს ქართველი გულშემატკივრებისა და სპეციალისტების ყურადღების ცენტრში. ჩატარდა საქართველოს პირველობა 1998-1999 წლიან ძიუდოისტთა შორის. ასპარეზობაში, რომელიც რვა წონით კატეგორიაში ტარდებოდა, მონაწილეობდნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის 1998-1999 წლიანი მოჭიდავეებიც, ისინი, ვინც თავი გამოიჩინა და მოხვდნენ საგარეჯოში ჩატარებული საქართველოს სარეიტინგო ტურნირისა და კახეთის რეგიონული პირველობის საპრიზო სამეულში.

როგორც წინა ასპარეზობებში, საქართველოს პირველობაშიც თავი ისახელა 50 კგ. წონით კატეგორიაში მოჭიდავე ამირან დარბაისელმა, რომელსაც სულ რაღაც ერთი ნაბიჯი დააკლდა ჩემპიონობამდე და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ამავე წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გამოვიდა კიდევ ერთი ჩვენი მოჭიდავე გიორგი მღებრიშვილი.

მსაჯების უყურადღებობის გამო საფინალო ორთაბრძოლას გამოეთიშა 66 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჭაბუკა კირაკოზაშვილი, რომელიც ამ მიზეზის გამო მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა, არადა, რეალურად გააჩნდა I-II ადგილზე გასვლის შანსი.

ტრამვის გამო საპრიზო სამეულს მიღმა დარჩა საგარეჯოელი მძიმეწონოსანი ძიუდოისტი ელდარ ჯიქიძე, რომელიც უძლიერესი იყო 81 კგ წონით კატეგორიაში ახმეტაში 24 იანვარს გამართულ კახეთის რეგიონულ პირველობაში.

კახეთის რეგიონულ პირველობაზე

საგარეჯოელ ძიუდოისტებს თავიანთი ძალების გამოცდა უკვე კახეთის რეგიონულ პირველობაზე მოუხდათ, რომელიც 1998-99 წლიანთა შორის ჩატარდა და სარეიტინგო ტურნირისაგან განსხვავებით უკეთესი შედეგებიც აჩვენეს. ერთი პირველი, სამი მეორე და ერთიც მესამე ადგილი, ასეთია მათი მონაპოვარი ამ შეჯიბრებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ 50 კგ წონით კატეგორიაში ფინალური შეხვედრა სულაც გარეჯული იყო. აქ პირველობისათვის ერთმანეთს ამირან დარბაისელი და გიორგი მღებრიშვილი დაუპირისპირდნენ, სადაც ამირანმა იმარჯვა და ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა, გიორგი კი ვიცე-ჩემპიონი გახდა.

ვერცხლის მედლით დაასრულა თავისი ასპარეზობა 66 კგ წონით კატეგორიაში ჭაბუკა კირაკოზაშვილმა. მსგავსი შედეგით დაასრულა თავისი ასპარეზობა 81 კგ წონით კატეგორიაში მამუკა ჭიკარტაძემ. 46 კგ-ში მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა დავით კურდღელაშვილი. 81 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ელდარ ჯიქიძე.

გ. დაბახიშვილი

ოთარ არჩუაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

8-9 თებერვალს საგარეჯოს სპორტდარბაზში ოთარ არჩუაძის ხსოვნის ტურნირი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში.

47 კგ. წონით კატეგორიაში გამარჯვებულ



მოჭიდავეს ნიკა კევლიშვილს ოქროს მედალთან ერთად გადაეცა ოთარ არჩუაძის სახელობის პრიზი, რომელიც გადასცა ოთარ არჩუაძის შვილმა სოსო არჩუაძემ. ტურნირზე დაწესებული იყო მსოფლიოს 5-გზის, 2 ოლიმპიური, ევროპის მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის თავისუფალ ჭიდაობაში ლევან თედიაშვილის სახელობის პრიზი, რომელიც მიშიკო ბოჭორიძეს გადაეცა.

ასევე დაწესებული იყო მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონის თავისუფალ ჭიდაობაში არსენ მეკოკიშვილის სახელობის პრიზი, რომელიც დიღმელ მოჭიდავეს დავით ქოჩქიანს ხვდა წილად.

გამარჯვებულთა შორის არიან:

26 კგ წონითი კატეგორია – აკაკი რომაშვილი II ადგილი;

29 კგ – გიგა დოლენჯაშვილი – III ადგილი;

32 კგ. – გიგი ქურხული – II ადგილი;

38 კგ – ბაჩო ქვლივიძე – III ადგილი;

47 კგ. – ნიკა კევლიშვილი – I ადგილი;

59კგ – მიშიკო ბოჭორიძე – I ადგილი;

+59 კგ – გიორგი ბურჯანაძე – II ადგილი.

ტარიელ როსტომაშვილი,

ტურნირის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში.

კრიკი

ბიჭები გამარჯვებისთვის ემზადებიან

მოკრივეები მწვრთნელ ზურაბ იმნაძესთან ერთად

საგარეჯოს სპორტგაერთიანების კრივის სექცია (მწვრთნელი ზურაბ იმნაძე) იმ ნორჩ მოკრივეებს აერთიანებს, რომლებიც მართლაც რომ თავდადებითა და დიდი მონდომებით ცდილობენ კრივის საიდუმლოებების დაუფლებას. მათ ვარჯიშები ჯერ ნინოწმინდაში, მწვრთნელის სახლში დაიწყეს და შემდეგ სკოლის ძველ შენობაში გადაინაცვლეს. მწვრთნელის შრომისმოყვარეობამ, აღსაზრდელთა ინტერესმა ნორჩ მოკრივეთა მშობლებიც დააინტერესა. განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს პარლამენტის წევრის თინათინ ხიდაშელის ბიუროს უფროსმა ცინარ კონიაშვილმა გამოიჩინა. და შემდეგ, რომ იტყვიან, მართლაც ღირსეულად ამოუდგა მათ მხარში თავად პარლამენტის წევრი და მუნიციპალიტეტის გამგებელი. მოკრივეთა მიერ ერთმანეთს მიყოლებულმა წარმატებებმა თბილისში გამართულ შეჯიბრებებზე დიდი სიხარულიც მოიტანა – მოკრივეებს სპორტული დარბაზი დაეთმოთ! დღეს ისინი უზარმაზარ, დიდ დარბაზში ვარჯიშობენ, ძალიან უხარიათ, ტატო შიოშვილი და გიორგი ივანიაშვილი ერთმანეთს არ აცლიან ამ სიხარულის გაზიარებას: ძალიან პატარა, დაბალჭერიანი ოთახი იყო, სადაც ჩვენ ადრე გვიხდებოდა ნინოწმინდაში ვარჯიში, მხოლოდ ერთი „მსხალი“ და პატარა „ტურნიკი“ იდგა. აქ კი ნახეთ, რამხელა დარბაზია, ნათელი, მაღალჭერიანი, სამი გამათბობელით, რინგით, თანაც მხოლოდ ნინოწმინდელები არ ვვარჯიშობთ.

საუბარში მწვრთნელი ზურაბ იმნაძეც ერთვება: – დიახ, ნინოწმინდელებთან ერთად დღეს ჩვენს დარბაზში ვარჯიშობენ საგარეჯოს საჯარო სკოლების მოსწავლეები. გვყავს კაკაბეთელი ტრისტან ფილაური, გომბორიდან – ზურაბ ოსეფაშვილი. ისინი პერსპექტიული მოკრივეები არიან. უფროს მოკრივეებს არც 2005 წელს დაბადებული ყველაზე პატარა ასაკის თენგიზ ივანიძე ჩამორჩებათ. საინტერესოა ასევე, საგარეჯოს II საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელ გიორგი კოხტაშვილთან მუშაობა.

გიორგი კოხტაშვილი: – ოთხი წელი ფეხბურთის სექციაში ვიყავი. შემდეგ თბილისის 35-ე სპორტულ სკოლაში გადავედი, მაგრამ საგარეჯოდან ყოველდღიურად სიარული ვერ შევძელი და გასული წლის მაისში დავბრუნდი. დავბრუნდი კრივის სექციაში. უკვე ხუთჯერ ავიღე პირველი ადგილი, ყველაზე დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი იყო ჩემთვის პირველი შეხვედრა თბილისში, რომელთანაც პირველივე რაუნდში მოვიგე. ეს იყო ჩემთვის შოკისმომგვრელი. ასევე, არ დამავიწყდება შეხვედრა იმ ორ გამოცდილ მოკრივესთან, რომლებიც ასევე დიდი უპირატესობით დავამარცხე.

ბიჭები აღარ ხუმრობენ. მათ სახელი კახეთში გაითქვეს, როცა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 176-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირში ყვარელში მათ კახეთის ყველა მუნიციპალიტეტის მოკრივეები დაამარცხეს და პირველი ადგილები მოიპოვეს. ახლა კახეთში ყველამ იცის, რომ საგარეჯოს ძლიერი მოკრივეები ჰყავს.

ამას წინათ კახეთის ღია პირველობაზე იყვნენ გურჯაანში და სამი პირველი ადგილიც დაიკავეს. ნიკა კუზანაშვილმა, ვალერი ბარამაშვილმა და ლუკა ლუკავამ. მეორე ადგილები გიორგი ივანიაშვილმა, ნიკა კუჭუაშვილმა, ტატო შიოშვილმა და გიორგი დეკანოზიშვილმა. მესამე ადგილი უჩა გრძელაშვილმა აიღო.

ნიკა კუზანაშვილი საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მეხუთეკლასელია. კრივის სექციაში ოქტომბერში მოვიდა. ჩვენ სწორედ იმ დღეს შევხვდით ერთმანეთს და მართლაც სასიხარულო იყო ჩვენი შეხვედრა – ნიკამ ყველა მოგვხიბლა თავისი სპორტული „ვირტუოზობით“ – ყველა ის სპორტული ინვენტარი „დაიპყრო“, რომელიც დარბაზში იდგა და საოცრებაც გვაჩვენა, თანაც, ორ ხელზე დაყრდნობით მთელ დარბაზს ოლიმპიური სიმშვიდით შემოუარა, კრივის ილეთებიც მეზობლობაში შესწავლილი გვაჩვენა – არცთუ ურიგოდ შესწავლილი. თუმცა, ნიკას მუშტი მტერს მოხვდა, რადაცნაირად დაკუნთული, თითქოს დედის მუცლიდანვე აქვს მებრძოლის, მოკრივის ხელები...

დღეს ნიკა კახეთში კარგად „ცნობილი“ მოკრივეა არა მარტო თავისი ასაკისა და წონის მოკრივეთა შორის. კარგად ახსოვს ყვარელში ლეკს შეხვდა, სახელიც დაიმახსოვრა და გვარიც – მურად მუხამედოვი, სწრაფად მითხრა, რომ იტყვიან, „ყოფა უტირა“. ასახელა მწვრთნელი, თავისი გუნდი, რომელიც მართლაც მეხად დაატყდა კახელ მოკრივეთ და იმდენი ოქროს მედალი წამოიღეს, პირდაღებულები დატოვეს ერთ დროს სახელგანთქმული მოკრივეები. ძალიან მოსწონს კრივი, არც ნანობს კრივის სექციაში მოსვლას. მამა – გიორგი ფეხბურთელი იყო, რუსთავის გუნდში თამაშობდა გოჩა ჯამარაულთან, – სიამაყით მეუბნება ნიკა, – ჩემი ძმა ჯერ რაგბისტი იყო, პატარძეულის „ვეფხვებში“ ვარჯიშობდა. ახლა კრივზე მოვიდა. ოთარი 14 წლისაა და სპორტის ყველა სახეობა აინტერესებს. ჩვენ ძალიან მეგობრული გუნდი ვართ, მომწონს გიორგი კოხტაშვილის „ჩხუბი“, ეხლა გომბორიდან ზურაბ ოსეფაშვილი შემოგვემატა, ისიც მაგარია, ლუკა ლუკავა, ტატო შიოშვილი, გიორგი ივანიაშვილი, – და მითვლის თავის ყველა თანაგუნდელს ნიკა, თითქმის ის 40 მოკრივე ჩამომითვალა, რომელთანაც ვარჯიშობს. მეც ვეთანხმები, რადგან, ყველანი, ყველანი კარგები არიან და ყველასგან ძალიან დიდ წარმატებებს ველოდები მეც, ამ სტრიქონების ავტორი.

უფრო მეტი გამარჯვებებისათვის იბრძვიან დღეს ბიჭები – ვარჯიშობენ, ერთმანეთს გამოცდილებებს უზიარებენ.

გამარჯვებები, ბიჭებო!

თინა ილაური

P.S. მაგრამ, როცა ქართველ მოკრივეებსა და ქართული კრივის ისტორიაზე მათ საუბარი ჩამოვუგდე, მხოლოდ ინტერნეტში დადებული თანამედროვე, უცხოელი მოკრივეები იციან. მხოლოდ ნიკა კუზანაშვილმა გიორგი კანდელაკი და უკრაინელი ვიტალი კლიჩკო დამისახელა. ამიტომ გადავწყვიტეთ, მათთვის და არა მარტო მათთვის ქართული კრივის ისტორია შემოგვეთავაზებინა.

სპორტი

ნიკა კუზანაშვილი

ხანსულის ფურცლებიდან

ქართული კრივის ისტორია

ძველ საქართველოში კრივი ისეთივე სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ჭიდაობა. თუმცა ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, მისი მდიდარი ტრადიციები დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა და სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე ცოცხალი სახით არ მოუღწევია.

ქართული კრივის თაობაზე მსჯელობა მხოლოდ მწირ ლიტერატურულ ცნობებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი. ერთადერთი ბეჭდვითი მასალა კრივის შესახებ დავით იოსების ძე ბებუთოვის მემუარებია, რომელიც 1867 წელს გამოქვეყნდა.

დავით ბებუთოვს აღწერილი აქვს ე.წ. სალდასტის კრივი, რომელშიაც თვითონ მუღია მონაწილეობა. სწორედ მის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით, ოღონდ სხვადასხვა ვარიაციით, აღწერენ ქართულ კრივს დუბროვინი, პოტო და ვეიდენბაუმი. ქართულ პერიოდულ გამოცემებში ცნობები კრივის თაობაზე XIX საუკუნის შუა ხანიდან ჩნდება. კრივს, როგორც სახოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენას, ყურადღებას უთმობენ გაზეთი „ივერია“, ჟურნალი „ცისკარი“ და სხვ... ცნობები კრივის შესახებ შემოუნახავთ ალექსანდრე ორბელიანს, ვასილ ხახანაშვილს და ნიკო ავალიშვილს. ქალაქური კრივის დიდი მეხოტბე გახლდათ პოეტი და პუბლიცისტი იოსებ გრიშაშვილი, რომლის წერილები – „საიათნოვა“ და „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ქართული კრივის შესწავლის საქმეში მთავარი გზამკვლევი გახდა.

კრივი ორგანული და უცვლელი ნაწილი გახლდათ ბერიკაობა-ყეენობის უძველესი დღესასწაულისა. 1893 წელს ჟურნალ „აკალმში“ გ. წერეთელი „ყეენობის“ შესახებ წერდა: „ამ თავის საყვარელი ჩვეულებით ყოველი ქართველი წელიწადში ერთხელ მსახიობობით გამოხატავს თვალწინ წარსულ ისტორიულს სურათს. რაში მდგომარეობდა ეს სურათი? იმაში, რომ საქართველოს ერი, ვერც ერთ უცხო რჯულის ხალხს ხანგრძლივად ვერ დაუპყრია. ხშირად შემოსულან ძველ დროში სხვადასხვა ქვეყნის ყეენები, მაგრამ იმათი ბატონობა დღეგრძელი არ ყოფილა. ბოლოს მაინც, ადრე თუ გვიან, საქართველოს ერი ამდგარა, „განუხეთქია აპეურნი მათნი და განუგდია უღელი მათი.“

როგორც იოსებ გრიშაშვილი ამბობს: „ყეენობა თავისი პირვანდელი სახით ომის მისტიფიკაციას წარმოადგენდა. ...იგი ალეგორიული გამოხატულება იყო იმ საიდუმლო გულის ზრახვებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ განსაკუთრებით საქართველოს იმდროინდელ მოწინავე საზოგადოებაში.“

ომისათვის მოსახლეობის მუდმივი მზადყოფნა შეუძლებელი იქნებოდა რეგულარული ვარჯიშისა და წვრთნის გარეშე. სწორედ ამ მიზნით წელიწადში რამდენიმეჯერ იმართებოდა ე.წ. „სალდასტის“ კრივი, რომელიც ერთგვარ სამხედრო მანევრებს წარმოადგენდა. საომარ მოქმედებებში ჩართული იყო პრაქტიკულად ქალაქის მთელი ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა. გაზეთი „ივერია“ 1885 წელს კრივის შესახებ წერდა: „კრივს განსაკუთრებით ახალგაზრდობა მისდევდა. ეს საკვირველიც არ არის. ქართველ ქალს ერთი ათად უფრო ტურფად ეჩვენებოდა ის ვაჟი, რომელიც კრივში გაიმარჯვებდა და სახელს გაითქვამდა. მოკრივენიც, რასაკვირველია, რამოდენადაც სახელის შოვნას სცდილობდნენ, იმდენადვე სწადდათ და სცდილობდნენ თავის გამოჩენას თავიანთ „ორთავ თვალის სინათლის“ სასიამოვნოთ და სასიქადულოთ. კრივს ჰქონდა თავისი ჭეშმარიტად კარგი მხარე: ქართველი კაცი პატარაობიდანვე იწვრთნებოდა სამხედრო ხერხებში, ავარჯიშებდა თავის საღ გონებას და გამჭვრეტელობას, რომელიც მას ბუნებით დაჰყოლია, ვარჯიშობდა სიმარდეში, სისწრაფეში – ერთი სიტყვით, კრივში ქართველი იძენდა ყველა იმ თვისებებს, რომელნიც ძვირფასნი არიან სამხედრო საქმისათვის“.

ჭიდაობა და კრივი საქართველოში რელიგიურ დღეობებთან იყო დაკავშირებული და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული რიტუალის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. სწორედ ამის გამო სამხედრო საქმიანობასა და ფიზიკურ წვრთნას ქართველი კაცი დღესასწაულად მიიჩნევდა. მებრძოლები საასპარეზოდ განსაკუთრებულად ემზადებოდნენ და ამ დღისათვის საუკეთესო ტანსაცმელით იმოსებოდნენ. არა თუ უბრალო პაექრობისას, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშიც კი ქართველი განსაკუთრებულ სამოსში – ე.წ. „იალმაგში“ გამოწყობილი იბრძოდა. სულხან-საბას მიხედვით იალმაგი „არს სამოსელი საომარი ჯაჭვთა გარეგან საცმელი“. ითვლებოდა, რომ ნამდვილი ვაჟკაცი ბრძოლაშიც ისევე უნდა შესულიყო, როგორც ლხინში. ჩვენებურების ეს თვისება შეუმჩნევია კავკასიაში რუსეთის ემისარს, გენერალ ნიკოლაი დუბროვინს.

კრივი იმართებოდა კვირაობით, ყველიერის ბოლო დღეებში, აგრეთვე ნათლიღების მეორე დღეს, რადგან, მიცვალებულთა სულის მოხსენების გამო, ამ დროს ყველა დუქანი დაკეტილი იყო. ყველაზე დიდი კრივი – ეგრეთწოდებული „ავლაბრის კრივი“ – იმართებოდა კვირაცხოვლობა დღეს, ამ სახელწოდების ეკლესიის მახლობლად.

კრივისათვის მზადება წინასწარ, რამდენიმე დღით ადრე იწყებოდა. „ ...მთელი ტფილისის ქალაქი: ავალაბარი, ნარიყალა, და ჩუღურეთი ყეენობის სათამაშოდ ემზადებოდა. სეიდაბადის ხელოსნებს, ფეიქრებს, ხუროებს და მჭედლებს ბევრი სამუშაო ჰქონდათ აღებული. ისინი ამზადებდნენ ხის ხმლებს და ხანჯლებს, საცერე რგოლებს და შურდულებს.“

კრივის დაწყებას მრავალრიცხოვან დამსწრეთა შეძახილი და ყიჟინა ამცნობდა. ბრძოლა პატარა ბიჭების შეჯიბრებით იწყებოდა. შემდეგ 18-20 წლის ჭაბუკები შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს; ჭაბუკებს 25-30 წლის ვაჟკაცები მოსდევდნენ; ხოლო, როცა ბრძოლა გამწვავდებოდა, ორივე ბანაკიდან გაისმოდა ძახილი: „ქომაგი! ქომაგი!“ და ეშხში შესული დარბაისელი და გამოცდილი ფალავნები უკვე ნამდვილ კრივს იწყებდნენ (ანდაზაცაა: „კაი მოკრივე გვიან გადმოვაო“). მოკრივენი უქუდოდ, მკერდგაღაღილნი, ჩოხის კალთებაკეცილნი და ხშირად ფეხშიშველნიც იბრძოდნენ. მოკრივეთა რიცხვი განსაზღვრული არ იყო, თუმცა ცნობილია, რომ ზოგჯერ ბრძოლაში ერთდროულად ექვსი ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას. კრივში მონაწილეობდნენ უმთავრესად ხელოსანთა წრიდან გამოსული ფალავნები; ზოგჯერ მათ ვაჭრებიც უერთდებოდნენ.

კრივში მონაწილე მთელი მოსახლეობა წინდაწინ იყო დაყოფილი ათეულებად, ასეულებად და ათასეულებად. თითოეულ დანაყოფს თავისი წინამძღოლი ჰყავდა. წინა დღით მეთაურები თადარიგს იჭერდნენ და თავის მებრძოლებს შემოვლითი გზებით მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ჩასასაფრებლად აგზავნიდნენ. მებრძოლთა შეიარაღებას შეადგენდა მოკლე შურდული, ხის ხმალი, ნაბდის ფარი და თითბრის ან თუჯის საცერე რგოლი, რომელიც უშუალოდ ხელჩართული ბრძოლის დროს იხმარებოდა და მოწინააღმდეგისთვის დიდი ზიანის მიყენება შეეძლო.

ქალაქის ორი მოკრივე ნაწილის საზღვრად ძველად სიონის ტაძარი ითვლებოდა. „მოკრივეთა მიჯნას წარმოადგენდა აგრეთვე შუაბაზარი ქურჭების სახელოსნოებამდე. იყო შემთხვევა როცა მოკრივეთა „თაბუნს“ მტკვარი ჰყოფდა.“ მებრძოლთა ერთ მხარეს წარმოადგენდნენ გარეთუბნელები: ანჩისხატელები, ხარფუხელები, მთაწმინდელები და ვერელები; მეორე მხრივ: კუკიელები, ჩუღურეთელები, ავლაბრელები, შავსოფლელები, ძაღლისუბნელები და სხვ... ორ ბანაკად გაყოფილ მოკრივეთა თითოეულ გუნდს ჩვეულებრივ წარჩინებული პირები მფარველობდნენ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჯარი კახეთის თავადებს – ჯორჯაძეებს, ვანჩაძეებსა და ჭავჭავაძეებს ებარათ, მარჯვენა სანაპიროს გუნდი კი ორბელიანებისა და ბარათაშვილების საქმაგო იყო. „სარდლები ცხენებზე ისხდნენ, ერთმანეთს ეკამათებოდნენ და თავიანთი რაზმის ფალავნებს აქეზებდნენ. ზოგჯერ „კარგად დამრტყმელ“ მოკრივეებს ფულითაც ასაჩუქრებდნენ“. უშუალოდ ხელჩართულ ბრძოლაში თავადები არასოდეს ერეოდნენ, მაგრამ გაცხარებული შეტაკებისას, სხვა დამსწრეებთან ერთად, მათაც დაუნდობლად მოხვდებოდათ ხოლმე „ანჩხატური“ მძიმე მუშტი თუ მტრის ნასროლი ქვა., ალექსანდრე ორბელიანი წერს თავის მოგონებებში: „ერთი შურდულის ქვა მეც მომხვდა, უკან, თავის კეფაში და კარგა გამიტეხა; ჩემმა ლალამ შინ რომ მომიყვანა, დედაჩემი არ გამიჯავრდა, ამისთვის, რომ ამგვარ საშიშს საქმეებსა არ გვარიდებდნენ, – კარგი ვაჟკაცი გამოვაო. ეს მთელი ქართველების ჩვეულება ასე იყო, რომ თავის შვილებს ყოველს საშიშს განსაცდელში ზდიდნენ, უშიშარი ვაჟკაცი გამოვაო...“.

არის თქმულება, რომ კრივს მეფე ერეკლეც ესწრებოდა, რადგან „კრივი იყო ზნეობითი სწავლა ვაჟკაცობის წვრთნისა და ვარჯიშობისა“.

სალდასტის კრივის დაუნდობელ, მაგრამ რაინდულ ხასიათზე წარმოდგენას შეგვიქმნის დავით ბებუთოვის უკვე ნახსენები აღწერილობა XIX საუკუნის თბილისში გამართული ერთი ბრძოლისა, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ: „ბრძოლა დავიწყეთ ჩვენ, – წერს დავით ბებუთოვი, – ქვემო უბნის ბავშვებმა. მე გადავხტი წინ და სხვებთან ერთად დავიწყე შურდულით ქვების სროლა. ქამარზედ მეკიდა ხის ხმალი და მარცხენა მხარეზედ საფრად ნაბადი მქონდა. ახლო რომ მივედით, მოწინააღმდეგენი ხმალში იწვევდნენ ერთმანეთს. ერთი გამბედავი ყმაწვილი დახტოდა ჩემს წინ და თავს იფარავდა ჩემი შურდულისაგან. უეცრათ მოვარდა ჩემთან. ჩვენ შევეტაკენით და დავუწყეთ ერთმანეთს ხმლებით ცემა. ჩემი მოქიშპე დავჭერი, მაგრამ მეც გამიპო იმან წარბი... დიდებს შორის ქვის სროლა და ხელჩართული გრძელდებოდა... მე დავრჩი როგორც მაყურებელი. დაძლევა და ჯობნა არც ერთ მხარეს არ ეტყობოდა. ჩვენებმა შუადამისას გაგზავნეს ერთი რაზმი ზემო მხარის გარს შემოსავლელად, თითქმის ექვს ვერსამდე. ამ რაზმს ჰქონდა ნაბრძანები, გასულიყო ორშაბათს და ასე თორმეტ საათზე გადმოშვებოდა სოლოლაკის მთას და მოსწოლოდა მტერს. ამასთანავე მთაზე, ოქროყანიდან დაწყებული, ამ რაზმს უნდა დაეყენებინა საუკეთესო მეშურდულენი, რომ მტრისთვის ზურგში დაეწყოთ სროლა..ორივე მხრიდან გამოვიდნენ მეშურდულენი ათასობით და სეტყვასავით მიაყარეს ქვები ერთმანეთს... ყველგან გაცხარებული შეტაკება იყო. მომხდურებს როცა წააქცევდნენ, სცდილობდნენ მთიდან გადმოგდებას, მაგრამ ამხანაგები შეეშველებოდნენ და ომი ისევ გათანასწორდებოდა. ბრძოლა გაგრძელდა თითქმის ერთ საათს და ქვემოუბნელებმა მოახერხეს მაინც ნახევარი მთის დაკავება და ნაბდებით თავს იფარავდნენ შურდულის ქვებისაგან, რომელიც ზუზუნით მოდიოდა... უეცრად მოისმა საშინელი ყვირილი. განთქმულ მებრძოლთა სახელი ელვასავით მოეფინა მთელ ხალხს და მეომრებს რადაც ელექტრონისებურმა ნაპერწკალმა გაურბინა ძარღვებში. ზურნისა და საყვირების გამაყრუებელი ღრიალი მოეფინა არემარეს. ომი ცეცხლივით აენთო. ეხლა იბრძოდნენ ხის ხმლებით, ქვებს აღარ ხმარობდნენ. კრივის წესით, ხმალდახმალ შეტაკებაში, ქვის სროლა მხდალობად ითვლებოდა. ზემოუბნელები შესუსტდნენ და უკუიქცნენ. ქვემოუბნელებმა დაიჭირეს მთა და მტერი გაიქცა სოლოლაკის ხეობისკენ“. ასეთი თავდაუზოგავი ბრძოლა უმთავრესად მონაწილეთა ფიზიკური დასახიჩრებით მთავრდებოდა ხოლმე. მეორე დღეს მრავლად ჩანდნენ თავგახეთქილები, თვალწავარდნილები და ცხვირპირდამტვრეულები, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოროტ გრძნობებს გულში არავინ იდებდა და ასე „დამშვენებულები“, ნიშნად შერიგებისა, სალხინო ადგილებში მიდიოდნენ და ერთად ატარებდნენ დროს.

გიორგი კოკოშაშვილი

ჟურნალი „სვეტიცხოველი“

დასასრული შემდეგ ნომერში

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს მასწავლებელსა და კლასის ხელმძღვანელს, თითოეული ჩვენგანისთვის უძვირფასესსა და უსაყვარლეს პედაგოგს **იზო ჯიპაძეს.** ქალბატონს, რომელმაც უდიდესი ყურადღებითა და მაღალი პროფესიული ოსტატობით დაგვაკვალიანა მრავალი თაობა, ცხოვრების ასპარეზზე გასვლის წინ შეგვასისხლხორცა ის ადამიანური თვისებები, დღეს აგრერიგად რომ გვიმსუბუქებს ცხოვრებას, საზოგადოებასთან ურთიერთობებს. დიდი მადლობა მზრუნველობისა და შრომისათვის, დიდი სითბოსა და სიყვარულისათვის, რაც თქვენგან გამოჰყვა თითოეულ თქვენს აღზრდილს.

გვიყვარხართ, იზო მასწავლებელო, ღმერთმა დაგლოცოთ და დიდხანს იცოცხლეთ!

საგარეჯოს I საშუალო სკოლის 1974 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა სახელით

ნათელა ჭიაბერაშვილი
ნუნუ უნაფქოშვილი

გოგონების საყურადღებოდ!

ძიუ-დოს მწვრთნელი და მსაჯი

თებერვლის პირველი კვირიდან საგარეჯოში მუშაობას შეუდგა გოგონათა ძიუ-დოს სექცია, რომლის მწვრთნელად ფესვებით გიორგიწმინდელი ლუდმილა ფერაძე-ხოსიტაშვილი დაინიშნა. სექციაში უკვე 11 გოგონა გაერთიანდა. თავად ქ-ნი ლუდმილა თბილისელია, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი და საქართველოს სპორტის და ფიზკულტურის ინსტიტუტი. ბიოლოგიას ასწავლიდა თბილისის 63-ე საჯარო სკოლაში, მაგრამ ამჟამად მხოლოდ სპორტისა და საგზაო მოძრაობას ასწავლის ამავე სკოლაში. მისი დიდი ოცნებაა – საგარეჯოში აღიზარდონ ძიუდოისტები, რომლებიც მარტო საგარეჯოს კი არა, კახეთს, უფრო მეტიც – საქართველოს ასახელებენ მსოფლიო არენაზე.. ლუდმილა 10 წლის ასაკიდან ძიუ-დოს მისდევს. მისი უფროსი ვაჟი რაგბისტია, გოგონა – 14 წლის თათა – ძიუდოისტია. გოგონათა მწვრთნელს საგარეჯოში ის მუხტი იზიდავს, რომელიც აქ, გარე კახეთშია. – აქაურ მოჭიდავეებს გენეტიკურად უდევს ის კოდი, რომელიც პროფესიონალი მოჭიდავისთვისაა აუცილებელიო, – გვითხრა საუბარში ქ-ნმა ლუდამ, – აქაურებმა თითქმის დაბადებიდანვე იციან ის ილეთები, რომლებიც საფუძვლად დაედო სამბოს, ძიუ-დოს და ჭიდაობის სხვა სახეობებს. რატომ არ უნდა იცოდნენ ძიუ-დოს ილეთები გოგონებმა, რომლებიც უფრო ლამაზები, ჯანმრთელები, მოწესრიგებულები იქნებიან? ძიუ-დოს ვარჯიში, საერთოდ, ჭიდაობის ილეთების დახვეწა, ადამიანის გონებრივ განვითარებასაც იწვევს. რა სჯობია ლამაზ, გონიერ, ჯანმრთელ ქალს?

აღსანიშნავია ისიც, რომ საგარეჯოს სპორტგაერთიანებას მსაჯი, დღემდე არ ჰყავდა ძიუ-დოში და ახლა საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან მსაჯის სახელით სწორედ ლუდმილა ფერაძე იქნება, რომელსაც დიდი პრაქტიკა აქვს ასევე სამბოს მსაჯობაში. იგი პირველი ქართველი მსაჯი ქალია ჭიდაობის ამ სახეობაში.

ძიუ-დოთი დაინტერესებულმა გოგონებმა შეუძლიათ მიმართონ საგარეჯოს სპორტგაერთიანების ძიუდოისტ გოგონათა სექციას.

რაზე ფიქრობენ ახალგაზრდები?!

ზოგჯერ დაფიქრებადაც ღირს

ავტორიტეტის გავლენა სამუშაოს შესრულებაზე

ჩვენ ყოველდღიურად ვავლენთ ავტორიტეტისადმი მორჩილებას: ვემორჩილებით ჩვენს უფროსს, ლექტორს, პოლიციელს, თანამშრომელს და ა.შ. ავტორიტეტისადმი დამორჩილება საზოგადოებას ანარქიისგან იცავს. თუმცა ხშირად მას ფატალურ შედეგებამდეც მივყავართ. ჩვენს ცნობიერებაში ღრმად ფესვგადგმულია ავტორიტეტისადმი მორჩლების აუცილებლობა, რაც ხშირად დესტრუქციულ ქცევას იწვევს. ნორმალურ, ზრდასრულ ადამიანებს მკვეთრად გამოხატული მზაობა აქვთ იმოქმედონ ავტორიტეტის ბრძანებების შესაბამისად. ავტორიტეტი სერიოზულ გავლენას ახდენს და აკონტროლებს ჩვენს ქცევებს.

ამ ფენომენის საილუსტრაციოდ უამრავი ექსპერიმენტია ჩატარებული. თუმცა საკუთარი თვალით ნანახს არაფერი სჯობს. ამიტომ, დავგეგმე შესაბამისი ექსპერიმენტი. შევადგინე ინგლისური წინადადებები (სულ 5 ცალი), რომლებშიც გამოყენებული იყო „გაცვეთილი“, ბანალური სიტყვები - ისინი ხშირად გვხვდება რეკლამებში, სოციალურ ქსელებში, ბილბორდებზე, მობილური ტელეფონის მენიუში, სხვადასხვა პლაკატებზე და სხვა. მოკლედ, ნებით თუ უნებლიედ ყველას გაზეპირებული რომ გვაქვს სწორედ ის სიტყვები. შემდეგ პირველკურსელ სტუდენტებს, რომლებმაც საშუალოზე უკეთ იციან ინგლისური, ლექტორთან ერთად ვთხოვე ეპოვათ შეცდომები ამ წინადადებებში (რეალურად წინადადებები უშეცდომო იყო). ლექტორი სტუდენტებისთვის თავისთავად ავტორიტეტია, თუნდაც იმიტომ, რომ ის ფლობს შეფასების ძალაუფლებას. მე კი სტუდენტებს გავეცანი, როგორც უნივერსიტეტის კვლევითი სამსახურის წარმომადგენელი, რომელიც ინგლისურის ცოდნის დონეს ამოწმებდა. შესაბამისად, მეც ავტორიტეტად ჩამთვალეს სტუდენტებმა. ჩვენი მითითების საფუძველზე (ეპოვათ 5 შეცდომა) მათ სრულიად უშეცდომო წინადადებები შეასწორეს. ნაპოვნი შეცდომების საშუალო მაჩვენებელი 88%-ს უდრიდა. იმის შესამოწმებლად, მართლა ავტორიტეტის შეუმცდარობის რწმენით პოულობდნენ თუ არა სტუდენტები შეცდომებს, საკონტროლო ჯგუფთანაც მსგავსი გავიმეორე. ოღონდ ამ სტუდენტებმა იცოდნენ, რომ მეც მათსავით სტუდენტი ვიყავი და ავტორიტეტს არ წარმოვადგენდი. ამ შემთხვევაში შეცდომების პოვნის რიცხვი 32%-ს არ აღემატებოდა. ავტორიტეტის გავლენით ექსპერიმენტის მონაწილეებმა 56%-ით მეტი შეცდომა იპოვეს, ვიდრე ავტორიტეტის არარსებობის დროს პოულობდნენ.

ჩემი ვარაუდი გამართლდა - ავტორიტეტი გავლენას ახდენს სამუშაოს შესრულებაზე. ავტორიტეტის მითითება უგულებელყოფილი რომ არაა ეს კარგად იციან სარეკლამო კომპანიებმა, გავიხსენოთ ცნობილი სახეები, ჩვენთვის ღირებული ადამიანები, ავტორიტეტები, რომლებიც რეკლამებში ამა თუ იმ პროდუქტის შეძენისაკენ მოგვიწოდებენ.

რობერტ ჩალდინი გვთავაზობს რამდენიმე ტექნიკას ავტორიტეტის გავლენის თავიდან ასაცილებლად. უნდა დავსვათ კითხვა, „არის თუ არა ეს ავტორიტეტი ნამდვილად ექსპერტი მოცემულ სიტუაციაში?“, „ავტორიტეტის არარსებობის შემთხვევაში როგორ მოვიქცეოდით იმავე სიტუაციაში?“.

ავტორიტეტის გავლენის მექანიზმის ცოდნა დაგვეხმარება წინააღმდეგობა გავუწიოთ მას და თავიდან ავიცილოთ მისი ნეგატიური შედეგები.

მარიამ ღრეული,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი.

თქვენს თავს დიაგნოზი თავადვე დაუსვით

დააკვირდით საკუთარი კანის ფერს

თუ კარგად დააკვირდებით თქვენი კანის ფერს, შესაძლო ავადმყოფობის შესახებ ინფორმაციას მიიღებთ და მკურნალობის კურსს დროულად ჩაიტარებთ, კერძოდ:

თუ კანმა მოყვითალო ფერი მიიღო, გამოიკვლიეთ ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი, რადგან, შესაძლოა, ანთებითი პროცესი უკვე დაწყებულია.

თუ ფერმკრთალი ხართ, სავარაუდოდ, ანემია გაქვთ და ეს ან რკინის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული, ან სასუნთქი პრობლემები გაწუხებთ. გამოიკვლიეთ ფილტვები და ბრონქები.

თუ სიმკრთალეს მოლურჯო ფერი გადაჰკრავს ტუჩებსა და ცხვირზე, ეს იმაზე მიგანიშნებთ, რომ გულის პრობლემები გაქვთ.

ფერმკრთალი კანი, მოლურჯო ლაქებით, იმაზე მეტყველებს, რომ სუსტი სისხლძარღვები გაქვთ და ორგანიზმს ც და ე ვიტამინები სჭირდება.

ადრეულ ასაკში დანაოჭებული კანი ქრონიკული დაავადებების გარეგანი გამოხატულებაა და მიანიშნებს, რომ ადამიანს დიაბეტი, ენდოკრინული და სხვა დაავადებები აღენიშნება.

მშრალი და დაჭიმული კანი კუჭის მოქმედების დარღვევაზე, კერძოდ კი ქრონიკულ გასტრიტზე, კუჭის წყლულზე მიგანიშნებთ.

არათანაბარი და დატალღული კანის ფერი მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზმში ტოქსინები და წიდებია დაგროვილი.

მოშავო ფერის კანი კი იმაზე მიანიშნებს, რომ თირკმელების უკმარისობა გაქვთ.

გამომშრალი კანი, რომელიც იქერცლება, იმუნიტეტის დაქვეითებასა და ავიტამინოზზე მიგანიშნებთ. ამ დროს მიიღეთ და ჯგუფის ვიტამინები.

ჩაშავებული და მოდუნებული კანი თვალების გარშემო თირკმელების ფუნქციის დარღვევაზე მეტყველებს.

ცხიმიანი კანი ლიპიდური მიმოქცევის დარღვევის ნიშანია და ყურადღება მიაქციეთ საჭმლის მომნელებელ სისტემას.

თუ კანზე დროდადრო ჩნდება ცხიმიანი ლაქები, ეს ალერგიის ბრალია.

კისერზე ან მკერდზე კანის გაწითლება ჰიპერტონიაზე მიუთითებს.

ხოლო თუ ტანზე ან სახეზე მუწუკები გიჩნდებათ, ესე იგი კუჭ-ნაწლავის პრობლემები გაქვთ და დროულად მიხედეთ.

გამოსათხოვარი

ტარიელ ქურდოვანიძე



საგარეჯოს კიდევ ერთი გამორჩეული თვისებების, საგარეჯოსა და საგარეჯოელებზე უზომოდ შეყვარებული კაცი – ტარიელ ქურდოვანიძე გამოაკლდა.

დაიბადა 1942 წლის 13 აპრილს, საგარეჯოში. დაამთავრა საგარეჯოს I საშუალო სკოლა. პროფესიით ინჟინერ-მშენებელს სხვადასხვა თანამდებობებზე უხდებოდა მუშაობა. იყო საგარეჯოს წყალთა სასისტემო სამმართველოს მთავარი ინჟინერი, შემდეგ კი წლების მანძილზე – დირექტორი. ასევე, სხვადასხვა დროს მუშაობდა გორის წყალთა სასისტემო სამმართველოს მთავარ ინჟინრად, 15 წლის განმავლობაში სოფელ თულარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად.

უკანასკნელ ხანს კი მუშაობდა საგარეჯოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის გაერთიანების თავმჯდომარედ.

ტარიელ ქურდოვანიძეს სადაც კი უმუშავია, ყველგან იცნობდნენ, როგორც თავისი საქმის პროფესიონალად. კარგი ორგანიზატორი, კომუნიკაბელური და შეგნებული პიროვნება დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა არა მარტო თავის თანამშრომლებთან.

უყვარდა საქართველო, საგარეჯო, თავისი დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრები და განუყოფელი ნაწილი იყო იმ თანაკლასელებისა, რომელთანაც ნახევარსაუკუნოვანი ურთიერთობა აკავშირებდა.

ჩვენგან წავიდა კაცი, რომელმაც თავისი ოჯახის წევრებს, შვილებსა და შვილიშვილებს სავიზიტო ბარათად საგარეჯოელებისადმი მისგან გაცემული დიდი სიყვარული და ადამიანური ურთიერთობები დაუტოვა.

ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენო ტარიელ!

საგარეჯოელები

გელა შაქარაშვილი

19 თებერვალს 39 წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო გელა. ერთად შევიკრიბებოდით თანაკლასელები, მოგილოცავდით უკვე ცოლ-შვილიანს, მაგრამ, ბედმა ვერც ოჯახის შექმნა დაგაბედა და ვერც მამობის სიტკბო გაგრძნობინა. როგორი სიხარულით ჩაიცვი ქართული არმიის ჯარისკაცის ფორმა, როგორ გეამაყებოდა – საქართველოს დამცველთა რიგებში რომ ჩადექი. სამშობლოს სიყვარულით იცავდი აფხაზეთის მიწას და 1993 წლის 14 სექტემბერს, იმ ავბედით დღეს ოჩამჩირესთან ახლოს, სოფელ ტამიშთან გაგიცია მტრის ტყვიამ სიყვარულით სავსე გული.

რა გითხრათ, გელა. ძალიან დაგვწყვიტე გული. უშენობაა შენს ოჯახში. დარდისგან მობერდნენ მშობლები, უცოლშვილოდაა შენი ძმა, ლამაზ დისშვილებს გიზრდის შენი საყვარელი და. ცხოვრება გრძელდება, ჩვენც უკვე დიდი შვილების მშობლები ვართ. არ დადგება თებერვალი და სექტემბერი, შენ არ გაგიხსენოთ, არ შევიკრიბოთ და ჩვენს მოგონებებს არ მივყვეთ...

ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ჩვენო გელა!

თანაკლასელთა სახელით:

კახა ყორღანაშვილი, ფირუზ თედიაშვილი, მამუკა მღებრიშვილი, ვალერი კევლიშვილი.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა, გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს პოლიციის რაიგანყოფილების უფროსს დათო ჭიაბერაშვილს მამის

ვაჟა ჭიაბერაშვილის

გარდაცვალების გამო.

საგარეჯოს II საშუალო სკოლის 1973 წლის კურსდამთავრებულები თანაგრძნობას უცხადებენ პედაგოგ ნანი ქაიხოსროშვილს მეუღლის

გივი ივანიშვილის

გარდაცვალების გამო.